

XV

# თეატრი სსსრ-ებში

საბუნების სულიერი. უსრული



**სოფ. მაგალობლიშვილი**  
55 წ. სამწერლო მღვდელმთავრის  
შეხვედრებისთვის ახლად მღ-  
მავალში მის საიუბილეოდ.



**გიორგილ რობაქიძე**

მისი ახალი პიესის „მალმტრემის“ დადგმის გამო.



**ო. პ. ფალიაშვილი**  
სამუსიკო ახმარეზე მღვდელ-  
მწერლის 35 წლის შეხვედრების  
გამოდ საბუნებო თეატრში მისი  
იუბილეების აპრ. 18.

რუსეთის სახელმწიფო თეატრების დამსახურებულ არტისტის

# იპენე ვაღლიაშვილის

## 35 წ. მუსიკალურ მოღვაწეობის იუბილე

პარასკევს, აპრილის 18-ს.,

1924 წ. შესრულდა 35 წ. რაც ტვ. სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრის ლოტბარი და სამხატვრო ნაწილის გამეფ ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილი მოღვაწეობის მუსიკის ხელოვნობის ასპარეზზე.

ქართველთა შორის ივანე ფალიაშვილი პირველი და ერთადერთი ლოტბარია, რომლის სახელსაც იცნობს არა მარტო საქართველო, არამედ უფრო მეტად რუსეთის მუსიკალური წრეები.

თავისი მუსიკალური მოღვაწეობა მან ტფილისში დიწყო ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ორგანისტის თანამდებობით და შემდეგ, 1889 წ. გადავიდა ადგილობრივ ოპერების დირიჟორად.

მერე იგი აქვე ტფილისში, რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ხორმესტრად და შემდეგ ლოტბარად ფორტის, სამაზინ-ნიხოვეცის და ნაოიამ საფაროვი-აბაშიძის ანტრეპრიზში.

აქედან იწყება მისი განუწყვეტელი მუშაობა ჯერ ხორმესტრისა, მხოლოდ ზედიზედოთ ლოტბარის თანამდებობაზე კიევიში, ხარკოვიში, ოდესაში, რიგოში და სხვა დიდ ქალაქებში, მათ შორის ვარშავაში და უცხოეთის ქალაქებში. ერთი სიტყვით, რუსეთში თვალსაზრის ქალაქი არ დარჩენილა, სადაც-კი ოპერა და ოპერეტა არსებობდა, რომ იქ ივანე ფალიაშვილი არ ყოფილიყო მიწვეული. თითქმის მუდამ იგი მსახურობდა საუკეთესო ანტრეპრიზებში, როგორც იყო ანტრეპრიზა წერეთლისა, ფიგერისა, ბარადაისა, სოლოევიცისა, ლუბკოვსკაიასა და სხ.

სხვათა შორის, ივ. ფალიაშვილი ტფილისშიაც რამდენჯერმე იქნა მოწვეული ლოტბარად—მაგალითად, ჯერ დონსკოის, და შემდეგ ეიხენვალდის დასში. ამის შემდეგ თეთი იგი ეიდა ანტრეპრიზის სათავეში ტფილისის ოპერის დასს 1911 წლიდან 1915 წლამდე.

რუსეთის დიდი რევოლუციის დროს იგი ჯერ პეტროგრადში იყო სახალხო თეატრის დასის ლოტბარად—და შემდეგ ურალზე ეკატერინენბურგში და პერმში.

საქართველოში სამკითხა ხელისუფლების დამყა-

რების შემდეგ ივ. ფალიაშვილი გამოწვეული იქნა რუსეთიდან და ეს ორი წელიწადია აკადემიური თეატრის ოპერის დასს სათავეში უდგას, როგორც ლოტბარი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

რუსეთში მოღვაწეობისათვის ივ. ფალიაშვილს მინიჭებული აქვს რუსეთის სახელმწიფო თეატრების დამსახურებული არტისტის წოდება.

როგორც საოპერო სცენის მოყვარე ივ. ფალიაშვილი იზებათი მოვლენა, საკვირველ შრომის მოყვარე, გულწრფელითი აღსავსე აზნაზავი, ყოველგვარ შეჩენობის გარეშე მყოფი, დიდის გამოცდილებითა და უნარით აღჭურვილი.

რაც შეეხება მას როგორც ხელოვანს,—იგი დიდი დიდი ღვაწლითაა მუშაობდა ტემპერამენტით და დიდი მუსიკალური ალღოთი და ნიჭით.

და თუ აქამდე, ყელა ამ მაღალ თვისებათა წყალობით იგი თვალსაზრის მოღვაწედ ითვლებოდა მუსიკალურ სფეროში, ამ ჟამად მისი მოღვაწეობა თავის სამშობლო ქვეყანაში, სადაც მუსიკალური ხელოვნება ეს პრის ელა იდგამს და მსაკვირველს ნამდვილ გულმსატკეპარ და ნიჭიერ ხელმძღვანელს, ივანე ფალიაშვილის მოღვაწეობა უაღრესათ მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი შესაძლებელია ქართული მუსიკალური შემოქმედებისა, როგორც მისი ინტერპრეტატორი.

და ივანე ფალიაშვილი, როგორც წარსული დიდი სული ლაწილისა, ისე აწინდელი კულტურული მუშაობის აღსანიშნავად, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სახელფროს კომიტეტმა დაადგინა: გაუმართოს მას ოცდახუთმეტის წლის მოღვაწეობის ოუბლო.

თუბილუ დანიშნულია ამა წლის აპრილის 18-ს ტფილისის სახელმწიფო აკადემიურ საოპერო თეატრში.

გაცნობებთ რა ამას, საიუბილეო კომიტეტი გახოზე ყვითლ ინებოთ—მონაწილეობა მიიღოთ ამ დღესასწაულში.

### საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე

განათლების სახალხო კომისარი დავ. კანდელაკი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

აკადემიური თეატრის დირექტორი ვლ. სვიმონიშვილი.

### საიუბილეო კომიტეტის წევრნი:

- ვ. აბაშიძე (სახ. არტ.) მ. აბაშიძე-საფაროვისა (დამ. არტ.), მ. ბალანჩივაძე, გ. ბუხნიკაშვილი, მ. ლისკოვსკი, ს. ევლახოვი, ი. ზურაბიშვილი, ს. კაქელნიცი, ა. კანტაროვიჩი, ს. ქურდიე, კ. მავაშვილი, ფ. მაკარენკო, კ. მარჯანიშვილი, ა. მახანი, ზ. ფალიაშვილი, ს. პაპოვა, გ. რიბაკიძე, ვ. სარაჯიშვილი სახ. არტ., დ. ჩხეიძე.

საიუბილეო კომიტეტის მდივანი მ. კვალიაშვილი

საიუბილეო კომიტეტის მისამართი: ტფილისი აკადემიური ოპერის თეატრი.



1910—1924  
წელიწადი XIV  
№ 9

ფსი 20 ქ. ნ. რ. გ.

„თეატრი და ცხოვრება“

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის დრ. მისამართი: ყოფ. ქართული თეატრის—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლბო“-ს შესავლში.

ფოსტი: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“.

იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, მანდაკობა, საზოგადოებრივი ხსოვნება.

დაარსდა 1910 წ.

ქვირა, აპრილის 13.

გამოცემა 1924 წ.

რედაქციისაგან

ხალხურ თეატრის ახალი ხანა

ყველას მოეხსენება, თუ ვის და რას ემსახურება ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება.“

მე-XIV წელიწადი იგი გამოდის საკუთარის ძალღონით და მკითხველი საზოგადოების ნივთიერ-ზნეობრივი დახმარებით.

გასული წლის მიწურულს ჩვენი ჟურნალის გამოცემა იცისრა ომში დაჭრილთა შრომის არტულ-„ახალი წრე“-მ.

ნომერ-ნახევრის გამოსაცემი თანხა გადმოვეცა. მაგრამ მოგვცნებათ... „დიდ ცრმს დიდი ზღელა უნდა—ასი ლიტრა საფენილი“-ო. და ეს მან ვერ შეიძლო.

ა. წ. 1 იანვრიდან როგორც წარსულში მთელი გამოცემლობის პასუხისმგებლობა ჩვენ დაგვეცისრა.

ჟურნალის დაუბრკოლებლად გამოცემისა და შინაარსით გაუმჯობესებისათვის, საჭიროა ჟურნალის სავაგომო-ცემლო ფონდის შექმნა. ამისი ვაკეთებთა კი არც ისე ძნელია.

ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული თეატრი, ხალხური თეატრი, პროვინციის თეატრი, სამშობლო მწერლობა და ჩვენი ჟურნალი,—უნდა გაიღოს თავისი წვლილი:

ა) შემოწირულების სხებით ბ) საღამო-წარმოდგენების გამართვით გ) ჟურნალის გაერცელებით და დ) ფასიანი განცხადების შოვნით.

თანხმად გაწვევისა ჟურნალის სასარგებლოთ გამართულ საღამოზე, გაიგზავნება რედაქციის წარმომადგენელი.

ყოველკვირეული საქმიანობა ამის შესახებ უნდა იქონიონ პირდაპირ რედაქტორთან.

\*\*\*\*\*

ხალხურ თეატრის თავის განვლილ ოცდაათიან წელთა არსებობაში იშვიათად ახსოვს წყნარი შემოქმედებითი მუშაობა.

ნინადგ ზრუნვა, საწარმოდგენო ხარჯების დასაფარავ თანხაზე ფიქრი, შესაფერი რეპერტუარის ძიება,—აი მისი სახე.

და თუ ამ თეატრმა თვისი შეუწყვეტილი მუშაკობის შესრულების 30 წლის იუბილე გადლოდა (1923 წ. 21-XII), ამაში უნდა ვგუბდლოდეთ მის თავანწირულ რაინდ სცენისმოყვარეთა და მათ დამხმარე უნაგარო ჩუმ მუშაკთ—გამგებოათა წვერით.

მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, ხალხურ თეატრს თავისი წმიდა დროშა მუდამ მაღლა ეჭირა,—

ეს დროშა იყო სოციალისტური და რევოლუციონური, არა იშვიათად ხელოვნურიც; მუდამხალხის სულეერ მოთხოვნილებასთან ახლო მდგომი.

არა ერთგვის აღინიშნა, რომ იგი—ხალხური თეატრი—მუდამ იყო და არის აკვანი ჩვენის მდამიო ხალხის,—ამ ერის ჭეშმარიტი საფუძვლის,—თანამედროვე ენით რომ ესთქვათ,—პროლეტარიატის აღმზრდელ-გამწრთენელი.

თუ ვისმეს შეუძლიან სთქვას, რევოლუციის ცეცხლს ვაღვივებდ, თვითმპყრობელობას ძირს ვუთხრიდი, წოდებრივ ურთიერთობას თუ საზოგადოებრივ უსამართლობას ვაშწარავებდი და ძველი წესწყობილების დამხობას მიეღვი ჩემი არსებით ვემსახურებოდიო,—ეს ყველაზე უფრო არა ნაკლებ შეუძლიან სთქვას ხალხურმა თეატრმა.

ღიაღ, ღიღია და ვანუშომელი ღვწლი მისი: შექმნა საკუთარი მისწრაფება—მსოფლმხედველობა, ადათი, დრამატურგია, არა ერთი და ორი მსახიობი და ხალხურ თეატრალიზმის თესლი ღრმად მიმოაბნია ირველიც, არა მხოლოდ ტფილისის გარეუბნებში, არამედ დაბა-სოფლებშიაც;

ხალხს სულეერ საზრდოს კერა შეუქმნა, კრი ხელოვნებას აზიარა.

თუმც ეს ასე იყო, ძველი მთავრობა ხომ არა სწყალობდა და არა, არც უკანასკნელი ხანა უღიშოდა ხალხურ თეატრის ასპარეზზე ჰაანწყვეტით მიმოშვებით.

ბოლო ხანებში საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ აქ (სახალხო სახლში) მომშუავე ქართული დრამის დასის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი სავეგებიო შეიქნა.

ამ დღი საქმის უანგარო მუშაინი ჩვეულებრივ მუშათა თანაბრად დამზღვეე კასაშიც კი არ მიიღეს: უმშუვევარნი ხართო (რადგან ჯამაირის არ იღებენ).

ხალხურ თეატრის დასმა ისტორიულად, სოციალურად და ზნეობრივად დიდხანია დაიშასურა, რომ ღირსეულ თავაზიანობით მოეპყრან.

ამ თეატრმა უკვე დაგვიმტკიცა თვისი მძლეთამძლეობა და ტფილისში ნამდვილი ხალხური—პროლეტარული თეატრის დროშა ყველაზე მაღლა ააფრიალა.

ჩვენ გვწამს, რომ ქალ. ტფილისის აღმასკომი ამ საქმეს უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრება და ყოველის მხრივ უზრუნველყოფს როგორც სცენას ტენხიურად,

ისევე მის მუშაკათ ნიეთიერად.

და ამითი კი ხალხურ თეატრის საშუალება მიეცემა დაიწყოს ახალი ხანა.

როგორი იყო ხალხური თეატრის რეპერტუარი დღემდე და რა გზით უნდა წარიმართოს მომავალი?—ამაზე შემდეგ.

ეს წერილი უკვე აწყობილი ვეკონდა, როდესაც შევიტყუეთ—დღემდე არსებული გულციობა აღმასკომისა ხალხურ თეატრისადმი, ამიერიდან მის სასიკეთოდ შეიცვლებოთ: აღმასკომის თავმჯდომარეს ლ. სუხიშვილსა და აღმასკომის განათ. გამგეს გ. ბუხნიჩაშვილს გადაუწყვეტით—ხალხურ თეატრის მდგომარეობა გააუმჯობესონ.

რა გეგმით აპირებენ სახალხო თეატრის მდგომარეობის გაუმჯობესებას—ამაზე შემდეგ.

იოსებ იმედაშვილი.

### მ ა ლ შ ტ რ ე მ ი

საზოგადოებამ იცოდა, რომ გრიგოლ რომაძისქმსა ჰქონდა ახალი პიესა „მალშტრემი“.

იცოდა ისიც, რომ კოტე მარჯანიშვილი ამზადებდა მას. ყველა, ვისაც კი ჩვენი ხელოვნების განვითარება ინტერესებს, მოუთმენლად მოელოდა მალშტრემის დადგმას და ამიტომაც რუსთაველის თეატრი გაკედილი იყო 3 აპრილს.

- წაკითხული გაქვს „მალშტრემი“?
- სად წაგიკითხავდი!
- იცნობ შინაარსს?
- ცოტაოდნად ვიცნობ.
- ქართული არაფერი არ არის შიგ თურმე, როგორც ამბობენ.
- მისტერია იქნება, როგორც სჩვევია გრიგოლს.
- ყოველ შემთხვევაში ახალი რამე კი იქნება.
- ყოველივე ახალი ხომ კარგი არ არის უსათუოდ.
- ჩვეულებრივობის გადალახვა და ახალის ძიება უკვე დიდი ღირსებაა.
- ენა მაინც ექნება საუტხვო.
- ასეთის ლაპარაკს მოჰკრავდით ყურს ფარდის ახლამდე.

პირველი მოქმედება იყო ნამდვილი ყუმბარა. ვერ გააარკვევდით, კინემატოგრაფი იყო თქვენს წინაშე, თუ სინამდვილე უქ იყო წარმოდგენილი ბურჟუაზიული საზოგადოების უმალესობა და მისი ცხოვრება, მისი ზნე, აზროვნება, ფილოსოფია.

მეორე მოქმედებას გადაყვეართ სულ სხვა არეში: გლეხის სახლი, გლეხური აზროვნება, ცხოვრება, მსჯელობა და ასეთ პრიმიტივში სოციალულის ბედისწერა.

მესამე მოქმედება კენტაურებია, ბუნების შვილნი, ბურჟუაზიული ცივილიზაციის მიერ გაურყვნელნი.

მეოთხე მოქმედება კიდევ ახალი სურათი: როყველუარის სიყვარული და კეთილგანათა დიდოფალი.

მესუთე მოქმედება ნამდვილი ელეა არის, დადასტების მოკლადია.

მექქესე მოქმედება ანთეული საკირეა ისტორიის და

ამ საკირეს პირის დგას ორი მოპირდაპირე კლასი: ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

- საუტხვოთ!
- იშვიათი სცენა!
- ეგ მარჯანიშვილის საქმეა, ავტორი რა შუაშია?
- ვერაფერი ვერ გავიგე!
- კარხერის გავლენით არის დაწერილი.
- იშვიათი ნაწარმოებია.

ისმონდა ანტრაქტებში ასეთი საუბარი.

საერთოდ მაყურებელი ვაოცებული დარჩა, განცვიფრებული, გაკვირებული. ყოველივე ახალი—პიესა, სცენები, დადგმა, თამაში, ტენხიკა—ყუმბარასავით გასკდა მის წინაშე და ის გაბრუნებული დარჩა, დაიბნა, ველარ გაეუკვია.

და მართლაც „მალშტრემი“ არა თუ სრულებით ახალია, დიდი ღირებულების პიესაა მარტო ქართულის საზომით კი არა, ფერაპიულის მასშტაბითაც.

მაგრამ ჯერ-ჯერობით დადგამაზე.

აპრილის 8-ს ჩვენს წინაშე ქართული სცენა კი არ იყო. არამედ ევროპული თეატრი ნოლომდე ბოლომდე და მე როგორც ქართული ერის შვილმა და საქართველოს მოქალაქემ სრული სიამაყე ვიგრძემ.

ძმობა და ერთობა დიდი რამ არის, მაგრამ ძმობის და ერთობის საღაროში ხელცარიელი შესვლა საზინუნელებია. მალშტრემის დადგმამ სრულებით დამარწმუნა, რომ ჩვენ არა თუ არ ჩამოუფარდებთ ევროპს, გათანასწორებისა და ზოგიერთ ხანებში გასწრების ნიჭი და შესაძლებლობაც მოგვეპოება.

აპრილის სამი ჩვენი განახლებული სცენის გამართვა, გამართება და სრული გამარჯვება არის.

მარჯანიშვილმა მოგვცა სასცენო ტენხიკის უკანასკნელი სახე, მოგვხიბლა, დაგვითხრა, დაგვატყვევა, მოგვავადოვა და უღირსად დაგვატკობი.

მარჯანიშვილმა გადააქარბა ყოველგვარ მოლოდინს: სცენა სინემატოგრაფად გადააქცია და სინემატოგრაფი სცენად.

ჩვენ მოვცა აქ სანახაობა, მაგრამ სანახაობის ჩარჩოებში ნათლად დაგვიანა ღრმა აზრი.

ექვსივე სცენა დადგმის მხრივ ერთი მთლიანი მშენიერება იყო; ერთი სურათი მეორესა სჯობდა და განსაკუთრებით გასაშტერებელი იყო პირველი—ფენომენალოგია და მესუთე—დადასტების მოედანი.

რეჟისურის გამარჯვება ხელი შეუწყო ერთის მხრით მსახიობებმა, მეორეს მხრით ახალგაზრდა მხატვრმა გამრეცელმა თავისი დეკორაციებით.

გამრეცელი უსათუოდ დიდი ნიჭია.

მსახიობები უნაკლო იყვნენ და ანსამბლი იზვიათ მიღწევას წარმოადგენდა. ახალგაზრდა მსახიობებმა გვიჩვენეს ამ დღეს დიდი ნიჭი, დიდი სიყვარული საქმისა, დიდი ვატცება და დიდი ვაწურთნა.

განსაკუთრებულ სინდლეს წარმოადგენდა პირველი მოქმედება—ფენომენალოგია და მესუთე—დადასტების მოედანი.

ორივე ისეთი ხელოვნებით იყო შესრულებული, რომ არა თუ ჩვენ სცენა, ევროპის საუკეთესო სცენა იამყებდა ასეთის შესრულებით.

ვაშა კოტე მარჯანიშვილს, ვაშა ამბიტელს!  
ვაშა მხატვარ გამრეცელს და ვაშა ყველა მსახიობებს!

\* \*

რას წარმოადგენს „მაღშტრემი“? მისტერია არის, დრამა, ტრადედია, კომედია?

არც ერთი არც მეორე, არც მესამე.  
ის არის გადაღაზე ყოველგვარი სკოლისა და მიმართულებისა.

მაღშტრემია პიესა, რომელიც რეალიზმს სკელის რომანტიკაში, ტრაგიკულს—კომიკურში; ერთი სურათი ცრემლის ტბა არის, მეორე—სიცილის შადრევანი.

პიესაში ექვსი ნოქმედება, თვითთელი მოქმედება დამთავრებულ იდეას წარმოადგენს. ამიტომაც გეგონებთ, თითქოს მათ შორის კავშირი ალაგ სუსტი იყოს, ალაგ სულაც არ არსებობდეს. მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ყველა მოქმედება აგებულია კრიალისანიებით ერთ მთავარ აზრზე.

ეს აზრია—ბურჟუაზიული კულტურის სრული გათასიერება და გადაგვარება.

ბურჟუაზიულმა კულტურამ დაიიწყა იდეალი, ადამიანის მოწოდება, მისი მიზანი, აბსოლუტუტ—მარადიული, დემონირილი ფულს, გაამყვანა რეალტივი—წარმავალი და ყოველისფერი გარდაქცევა მანქანად.

დაცადანსი ბურჟუაზიული კულტურისა იწყება ფილოსოფიიდან კანტიტა და თავდება აინშტეინით.

კანტმა გამოაცხადა: აბსოლუტური ჩვენთვის მიუწვდომელია, შეუცნობელი და სამუდამოდ დაფარული; ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ფენომენის ე. ი. ჩვენს საკუთარი მოჩვენების მიწვდომა და შეცნობა.

მაგრამ კანტმა მაინც დასტოვა დრო და სივრცე, როგორც აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც ჩვენს აზროვნება შეუძლებელია.

აინშტეინმა აბსოლუტური დროც უარკყო, სივრცეც და გამოაცხადა: სივრცესაც დასასრული აქვს, დროსაც და ბუნებაში ყველაფერი პირობითია, შეფარდებითი, არავითარი აბსოლუტური არ არსებობს.

მაღშტრემის პირველი მოქმედება წარმოადგენს უმაღლესი ბურჟუაზიის ზნეობრივსა და იდეურ გაცოტრებას.

ამ გაცოტრებისა და გადაშენების შედეგია ისეთი ესთეტიური აბსურდი, როგორც დადიამია; ეს ხომ შედეგია ბურჟუაზიული კულტურის გახრწნისა.

უკანასკნელი მოქმედება საუცხოოა დასურათება ბურჟუაზიის პოლიტიკურად გახრწნისა.

მის წინაშე ამართულია მეორე ძალა და ორი მოწინააღმდეგე ერთი მეორეს ეჯახებან.

აქ თავდება პიესა ანთიგულ საკირესთან, როგორც უწოდებს ავტორი უკანასკნელ მოქმედებას.

დასცენა ავტორისა ცხადია: ბურჟუაზია და ბურჟუაზიული კულტურა გადაგვარდა და გახრწნა; ისინი უკე განწირული არიან ისტორიის მიერ და ანთიგული საკირე შთანთქაეს მათ.

ერთადერთი კლასი, რომელიც ეჩება ბურჟუაზიის მისაფლვე, მუშა ხალხია, მაგრამ მუშა ხალხი არ უნდა გაკყეს ბურჟუაზიის გზას არ უნდა დაიიწყოს იდეალი, აბსოლუტური ე. ი. მიწის სჯული, იყოს მთლიანი, მტკიცე და მაშინ შექმნის ის ნამდვილ ადამიანურს და ამოღებულ ცხოვრებას ძველის ნანგრევებზე.

ყოველი მოქმედება დიდის ნიჭით არის შესრულებული და ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ავტორი უპირდაპირებს ერთი მეორეს ბურჟუაზიის დეკადანსს და მიწის სჯულს. მაგრამ რამდენადაც ძლიერია ის პირველი, იმდენადაც ძლიერი ვერ არის მეორეში. ფენომენალოგია, დადასტების მოედანი ნამდვილი შედეგია.

აქ თქვია ჰენოსათე აშშორებულ სხეულსა და ტვინს ბურჟუაზიისას.

კენტავრებში ე. ი. მესამე მოქმედებაში უნდა იყოს ასევე მძლავრად მოქმედი მიწის სჯული, მაგრამ არ არის. კენტავრების ბუნება, ხასიათი, შეხედულება, ცხოვრება უფრო ცვეთრად უნდა იყოს გადაშლილი. სამივე პიესაში—ლონდაში, კარლში, მაღშტრემში შტორის გატრებული აქვს მიწის სჯული.

ნამდვილი კენტავრები მას ჰყავს გამოყვანილი ლონდაში, უფრო კი კარლში, რომელსაც მე პირადად მაღშტრემში უფრო მალა ვაწვებ.

თავისთავად აღებული უკანასკნელი მოქმედება იზვიათის ექსპრესიით არის დაწერილი, მაგრამ ანთიგული საკირესათვის კიდევ უფრო მეტია საკირო—მეტი ცეცხლი, მეტი მოქმედება, მეტი საშინელება და საერთოდ მეტი სიმძლავრე.

აქ არის უკვე დასაწყისი კატასტროფისა. საშინელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რასაც „აღსდევ, შემოკრები შვიტორი მქებო“-თი ევლარ გამოჰხატავთ.

აქ უნდა სჩანდეს და ელვარებდეს, გეწვეოდეს საშინელი ცეცხლი, ისტორიის უწინარი ხელითა და რკინის ნებით დაწვებული.

ეს კი არ არის.

ავტორის ენა დახვეწილია, დაწმენილი, თავისებური და ყოველი სიტყვა მოუფიქრებელი, ხოლო ზოგიერთი გამოთქმა მე მინდოდა მოუღებლად მიმჩნია.

თანამედროვე ადამიანი ძალიან დაშორდა მიწის სჯულზე აღზრდილ ადამიანს და ზოგიერთი რამ, რაც მის-

თვის ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო, თანამედროვე აღმავანისათვის ფრიად სახანძროა.


მეორე მოქმედებაში იშვიათის სიმძლავრითა და გრძნობით არის გაშუქებული სიყვარულის ცეცხლი, სიმამრე, ტრაღიკული და ბედისწერა. მაგრამ როდესაც მუხომოყრილი ვაჟი იწყებს საყვარელი ქალის წინაშე და უცხადებს: „საშო შენი ცხელია“-ო ასეთი გამოთქმა მეტად სახი-

ვათაა დღევანდელი აუდიტორიისათვის და მხოლოდ დავითაშვილის თამაშს მიეწერება, რომ აქაც წამოძახილი და სიცილი არ გაისმა.

ბიესაც, დადგამაც, თამაშიც იშვიათია. პატარა წერილში შეუძლებელია მათი ამოწურვა და სხვა დროს და სხვა ალავას უფრო ვრცელად შეეცებო.

ივ. გომართელი

**რ ი ს ა მ უ ლ ი მ ი ს ს ა ხ ლ ხ ი პ რ ტ ი მ ს ნ ი**



ნიკო გოცირიძე

ვასო აბაშიძე

**სახალხო თეატრი და**

**ნიკო გოცირიძე**

30 მარტს რუსთველის თეატრში გაიმართა იშვიათი ნიკო გოცირიძის 30 წ. შეუწყვეტელი ენერგიული შრომის გამო სახალხო თეატრებში.

30 წელიწადი!

ოცდა ათი დღე კი არა, არამედ ოცდა ათი წელიწადი! ამ ხნის განმავლობაში ნიკო მუშაობდა და განაგრძობს კვლავ მუშაობას, ამ ხნის განმავლობაში ამ თეატრალურ ხელოვნებასთან ერთად, ნიკო ეწევა ფიზიკურ შრომას ამიერკავკ. რე. გზების მთავარ სახელსწიფებში ოცდა სამი წელი!

დღილი ადრე, 5 საათზე, პირველ „გულოცის“ ხმაზე ნიკო ლოგინიდან წამოძვრება, საქაროთ იცვამს, გამოიკეტავს თავის ბინის კარებს, გასაღებს ჯიბეში შეინახავს და მიეჩქარება განთიადით ზამთარ თუ ზაფხულ რკინის გზების სახელსწიფებისაკენ, მისვლისთანავე იწყებს ფიზიკურ შრომას და ათავებს ნაშუადღევის 3—4 საათზე; გაბრბის ბინისკენ, იღებს ჯიბიდან გასაღებს შეღის დობალებულ ბინაში, საქაროთ ტანთ გამოიკვლის, ხელბირს დაიბანს, წანაყრდება და ისევ მირბის ნაბიჯით... თეატრისაკენ.

მისი თეატრები—მხოლოდ სახალხო-მუშათა უბნების აუდიტორიები: ავკლა, ნაძალადევი, აელაბარი, ჩულურეთი და ბოლოს საყვარელ თეატრად გადაქცეული ზუბალაშვილის საუცხოო სახალხო სახლი. აქ იწყება ან რეპეტეცია ან წარმოდგენა. რეპეტეციის დროს ყველასთან მობაასე, მხიარული სახით მოხუშარე, თავმდაბალი ყველასთან—ახალთან თუ ძველთან, პირველ ხარისხთან თუ უმნიშვნელო სტატისთან. ყველასათვის საყვარელია! რეპეტეციის დროს იგი ასწავლის, აქეზებს და იმედს უნერგავს ყველას, წარმოდგენის დროს საუკეთესო განმამხნელებელი და თვალყურის მგდმეგელი. არც კარგი და ან რაიმე დეფექტი წარმოდგენის დროს ნიკოს არ გამოეპარება, რიგორც თავის მხრივ გაშვებული, აგრეთვე სხვისაც.

აი გახდა 12, 1 და შუალამის ორი საათიც. ნიკო იძევ ჩქარის ნაბიჯით მიეშურება სახლისკენ; მივიდა საქაროთ, ჩაწვა ლოგინში 2—3 საათი წასათულობა და კვლავ პირველი „გულოც“ კვლავ ნიკოს მოუწოდებს განთიადი ფიზიკურ შრომის ფორმისკენ.

აი მთლიან ნიკოს ცხოვრება და ეს მთელი ოცდა რვა წლის განმავლობაში! ამ პირობებს კავი უნდა. და, აი, როგორც ხედავთ, ნიკო საღი და კვლავ გაკაყებულნი მუდამ მოხუშარეა! საცა ნიკოა—იქ მხიარულებია! ეს მხიარულება მას თან დაჰყავს; ამ 30 წლის ხანაში ნიკო არ შემდგარა და სახალხო თეატრთან ერთად ამხნის განმავ-

ლობაში რეკდა ზეციურ ზარს! ზარს, რომლითაც მუშათა უბნებში სიესდა მუშებ ზორის თესლს, რომლის ნაყოფიც ესლა მოგვეცა. მხიარულ სიცილ-ხარხარით ნიკო, ვით გრუმ-ნეკისი („მეზობლები“, ტ. რამიშვილისა), მალამოს სიღებ-და დაბეჩაებულ მუშათა გულებს; აღვივებდა ნაკვერჩხალს მომაველ ბედნიერებისას და თეთვაშობისას. დიას! ნიკომ, სახალხო თეატრმა და ყველა აქ ამ დარგში მომუშავეთ ამ 30 წ. განმავლობაში საქართველოს მშრომელ ხალხს მისცეს ის, რის მიცემაც ვერ შესძლეს დიდმა თეატრებმა. დღემდის ერთი ნაწილი, ნაწილი სარეგულირ-ციო აგზენების გაღვივებისა დამთავრდა, მაგრამ სახალხო თეატრს დარჩა ეხლა მეორე საქმე და მეტად უდიდესი: მუშათა კლასის გათიფქვითობიარება, აღზრდა მომავალ თაობისა, საუკეთესო მომავლის დასურათებისა და წარსული შეგ-ბედ უკუღმა დროის ფურცლების ისტორიის არქივში ჩასვენების!

სახალხო თეატრი უნდა დარჩეს ისევ რეალურის სახით, იგი უნდა იყოს გასაგებში და იმ გვარად აწყობილი, რომ შეედლოს მუშათა გულში ჩაწლამა. სახალხო თეატრის ზარი კვლავ უნდა გუგუნებდეს ამაყათ და ამ სამრეკლოს ვერ მოშორდება ნიკო!

**სახალხო სცენა და ნიკო**—ეს ერთია და ასევე ერთეულადაც იცნობს მათ საქართველოს მშრომელი კლასი!

მაშ ვაშა სახალხო თეატრს ლამის ოცდა ათი წლის განმავლობაში თანამგზავრს ნიკო გოცირიძეს!

6 აპრილს ნიკომ ეს თავის ბედნიერი დღე გაღიხდა თავის ძველ ქერქვეშა და მეტად ლამაზნიც იყვნენ ორივე განუკრელნი მეგობარნი—ნიკო და სახალხო სახლი.

გაუმარჯოს მათ და მათს მოსიყვარულე აუდიტორიას—საქართველოს მშრომელ ხალხს.

გიორგი თაზიშვილი.



## ქართული ლიტერატურა

„ქაკაკისონი“ № 1-2.

(მკითხველის შენიშვნები)

განდომებს შემდეგი. როდესაც ერთი უდიდესი კომუნისტი შეეცოთხა მაქსიმ გორკის: „მაქსიმის, რატომ არ გეძღვევ ახალ მხატვრულ ნაწარმოებსო“, გორკის უპასუხნა: „ხში იცი, რომ მე ყოფა-ვითარების აღწერი ვარ, ხოლო დღევანდელი ვითარება ვერ შეზღაბის“. მ. გორკი, რაც უნდა იყოს, პილნიაკებზე, მაიაკოვსკებზე და თვით მოლოკე უფრო გრძობდა რევოლუციის ტალღებს, მაგრამ დღეს ვერ გამოვიდა მის პოეტად. ეს ახსენება, სხვათა შორის, იმით რომ სოციალური ვითარების მხატვარი თავის თავს ვერ დახატავს. თუ ამას მიჰყო ხელი, კოქლი სურათი გამოუვა. რეგიონული ყოველდღიური მონაწილე შეიძლება იყოს პამფლეტისტი, ჟარკატურისტი, შარჟისტი და სხ., მაგრამ ობიექტურად ვერ მიუღვივბა სიუჟეტს, ვერ შექმნის ტიპებს და მისი ნაწარმოები ცალკეიანი გამოვა. ის პირი კი, რომელიც რეგიონულის მოწამეა და არა აქტიური მონაწილე, ასე ვთქვათ, მეთავაურება, ვერ შეაგროვებს მთავარ ფერებს და მას ვერ შეაზიგებს, წერილობანებში ჩაიფლება, სურათით სისულ-ნაყლივი გამოვა. მოძრაობის დროს სხვა და სხვა ხარისხიანი ძალები მოქმედებენ. სურათების კლვის სისწრაფით იცლებიან. მოძრაობის მილიანი სახის ასახვა შეუძლებელია. ლ. ტოლსტოი შორიდან უფერებს 1812 წ. ეპოქას და მის გმირებს და მისი შემოქმედების ნაყოფიც „ომი და მშვიდობიანობა“ უკვდავია. ასეთივე მდგომარეობაშია უფრო პატარა მასშტაბით ჩვენი ახაზბეგიც. და როდესაც ერთი ვინმე „კავკასიონს“ უსაყვედურებს, რომ ის გაურბის თანამედროვე ხანის მხატვრულად აღწერას, ეს უსაბუთო საყვედურია. თანამედროვე ხანაზე ან უნდა გაჩუმდეს, ან მინიატურებით დაკმაყოფილდე. ვისაც უკანასკნელი არ სურს, ის გაჩუმებულია და ეს ბუნებრივიცაა. დღევანდელი ეპოქა თავის მხატვარს მომავალში გამოაზავს.

ურხალი „კავკასიონი“ მხატვრული შინაარსის მატარებელია, ლამაზად არის გამოცემული მისი რედაქტორის

პ. ინგროიყვის მიერ. შინაარს თ ის მიღდარია: ქართული და ევროპული ლიტერატურა, აზის შემოქმედების ნაყოფები და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ამიერკავკასიის ერების ლიტერატურის ნიმუშები. ეს უკანასკნელი მით უფრო საინტერესოა, რომ ჩვენ მათ შესახებ არაფერი ვიცით. კიდევ მეტი. მეტწილობად არ ჩავეთვალვება, თუ ვიტყვი, რომ ამიერკავკასიაში ქართველობა მოწინავედ ერთა. ჩვენს მეზობლად სრულებით ჩამორჩენილი ერები და ტომები ცხოვრობენ. შენ რომ მაღლად დაიწყო ასედა, მეზობელი ფეხებში ჩაგვიარდება და გასაქანს არ მოგცემს; ეს ამიერკავკასიაში ფიზიკური კანონი ექნება იქმდის, სანამ მეზობლებიც არ გამოვლენ საშუალო სატუნოების ფარგლებიდან და თანამედროვე კულტურის არ შეითვისებენ. ჩვენ გაუფაციკებით უნდა ეადგინოთ წერილ მათს შემოქმედებას ყველა დარგში.

პირველ ყურელი გრ. რობაკისეც ეკუთვნის—სწერს ლენინზედ. ავტორის სტილი ინტერესულია, ხოლო აზრების მიმდინარეობა მეტად დაქიმილია. სიტყვის შეუბრუნებლად ვიზიარებთ მის დებულებას, რომ ლენინი დიდი პიროვნება იყო. მაგრამ ამ ისტორიულ პიროვნების გაცემა შეუძლებელია რუსეთის და საერთაშორისო სოციალურ ძალების ქილის გარეშე. სწორედ ეს ქილიც აძლევდა მიმართულებას ლენინის გონების საქმიანობას და ნებაყოფის გამოხატავს. საერთო განყენებული დებულებებით ლენინის დადგენა შეუძლებელია. რობაკისეც სწერს: „რუსეთის საშო რბილია და უნებია, ლენინი სასტიკია და ნებიანიო“. თუ ეს მართალია, როგორ ხსნის ავტორი იმ ისტორიულ ფაქტს, რომ მოსკოვის სამთავრომ შექმნა უდიდესი იმპერია და დიდი ხნის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მთელს ევროპას? ეს არ იყო შედეგი „რბილი და უნებო საშოსი“. ავტორის სიტყვით „ევროპის ეპოქალური ტიპი ჰამლეტია, ჰამლეტობა ევროპაში ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებს.“ ეს არის ჰიპერბოლა და ისიც ისტორიულად შემცდარი. იმპერიალისტურ

მარშლების ჰინდენბურგ-ფოვის შეუღრეკელობას დღესაც დაძაბო ჰავას მთელი ეროსა, ხოლო ყოველ ორტილოქსა-ლსო მარქსისტის-მუსოლინის რეზინას-მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, საერთოდ ის სოციალური და ეროვნული ბრძოლა, რომელიც ბოზოქოლის მსოფლიოში მთელი ძალების დაქობით, უდაოდ ამტკიცებს, რომ დანისი ძალებზე თავიდა ასპარეზიდან განდევნილია. ჩვენი ავტორი განავრძობს: „ევროპაში რევოლუციუთა უფრო მატერიალური სიკეთეთა „გადაღაგება“, რუსეთში რევოლუციუთა სამეაროს პრობლემადაა გადაქცეული. ყოველ შემთხვევაში პათოსით და რომანტიკით“. ევროპის რომელ რევოლუციუთაზე ლაპარაკობს რომაბიძე? მიმავლის შესახებ? ანაზე მან არაფერი იცის, გერმანია, ავსტროუნგრეთის? იქ მატერიალურ სიკეთეთა „გადაღაგება“ არ მომხდარა. მოხდა ავსტრიაში ერების განთავისუფლება, მაგრამ ეს ხომ არ ექნება სახეში ავტორს? შეიძლება ის ლაპარაკობდეს საფრანგეთის დიდ რევოლუციუთაზე? ამ რევოლუციუთას თან ახლდა „გადაღაგება“. ერთ რუს მწერალს, თუ არ ეცდები გერკებს, მოჰყავს ერთი მოსამართლის შემდეგი სიტყვები: „მე იაკობინელი და თათარი ხომ არა ვარ, ზარმაკი რომ ვიყოფო, და თავის მხრივ დასძენს: „იაკობინელებს ბეგერი რაზე დასწამეს, მაგრამ სიზარმაცე მათთვის ჩვენი მოსამართლის-გარდა არავის დაუწამებიაო.“ საფრანგეთის რევოლუციუთას ბევრი რომ დასწამეს, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს, რომ მას აკლდა „პათოსი და რომანტიკა“, ან რომესპიერ-სენ-ჟიუსტის ნება და ინტელექტი რომ ერთი არ იყო, გაისინვის რომაბიძემ „მარსელიცხა“. სიტყვებს და მუსიკას არც პათოსი ავლია და არც რომანტიციში. ყველა ეს შეცდომები გრ. რომაბიძის მხრივ აიხსნება იმით, რომ ავტორი პოეტია და ეს მისი წერილც პოეტური ნაწარმოებია, ასე ვთქვათ ოღაა—დიდი პიროვნების სიკვდილის გამო შედგენილი.

მეორე პოეტის—კონსტანტინე ქვიჩინასი „რიონის აპოლოგია“ ლამაზი ქმნილებაა. სცადოს ვინმე და მიაკუთნოს ქვიჩინასის შემოქმედების ნაყოფს კლასიური შინაარსი: ბურჟუაზიულია თუ ფეოდალური დასავლეთი საქართველოს მუხენა? რასაკვირველია, არც ერთი,—ის სხვადასხვა სურათების პარამონიული გამოფენაა და პოეტს ქალღმრთელ გადააქვს ეს სურათი, მე წარმომიდგენია, რომ „რიონის აპოლოგია“ კინოზე გადაიღონ და გაჰყენონ შესაფერი მუსიკით.

ს. აბაშელის „უძილო ღამე“ პოემაც არის და ჰენესტებური გადასიხვა „შველი და ახალი წიგნების.“ ჩვეულებრივი სინაზით ფურცლავს აბაშელი ამ წიგნებს. მას უკვრია, თუ „არინდმა ღამაზე ქალისთვის როგორ გასწირა ქვეყნად ყოველი.“ ვინ იცის მომავლის საიდუმლოება? როდესაც

გაიღოს ხანი—და დღევანდელი  
დაიშხებრივან ცეცხლის რაშებში.  
იგდებს შორით სულ სხვა კანდელი,  
სხვა განთიადი ნარკინებო...

მაშინ როგორ შეაფასებენ ჩვენი დროის „უძილო ღამებს“? ვინცამ ამ ლექსს პესიმისტური უწოდა. ეს შეცდომაა. შეუძლებელი იყო, რომ აბაშელს, რომელიც მოაზროვნე პოეტია, არ ეგრძნო დღევანდელ სინამდვილემო პესიმიზმის სრული არაობა. ის ხომ ცხოვრების ზედა-

პირს არ უტყერის, არამედ მის სიღრმეს სწევდება. სკეპტიკური აზროვნების კვლიც მას უსათუოდ ემჩნება. ეს არც გვიკვირს. გადასაშლეთ „კავკასიონის“ შემდგომ ფურცლები და გადაიკითხეთ ანატოლ ფრანსის „პროკურატორი ურიასტანისა“, პონტიუს პილატუსს და ელიუს ლამიას საუბარი. უკაცნაირი კითხვობის... „ის კაცს იესო ერქვა; ნახარველი იყო, ჯვარს აცვეს—არ ეციკ, რა დანაშაულისთვის. პონტიუს, შენ ხომ არ ვახსოვს ის კაცი?“ პონტიუს პილატუსმა წარბები შეჰყარა და შეზღუდვილი ხელი ხელი ამბის მოსაკონებლად. მერე, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ:

„იესო?—ჩაილაპარაკა მან,—იესო ნახარველი? არ მახსოვს“.

სკეპტიკურად განწყობილმა ს. აბაშელმაც სრული საბუთით შეიძლება იკითხოს: ნეტავი რომელ იესო ნახარველია გადაიხვეწეს მოხეტიაულობაში შესული პროკურატორი პონტიუს პილატუსი?

„კავკასიონში“ მოცემულია ბევრი საინტერესო ნიმუში ევროპის ლიტერატურიდან. მე მკითხველის ყურადღებას მივაქვეცე პაუნტელევერის ლექსს: მკვლელები სხედან ოპიაზში. როდესაც მას კითხულობ, არ შეიძლება არ იგრძნო უღიფესო მწუხარება იმის გამო, რომ ადამიანი, რომელიც დასაბამიდან პირუტყვის მონათესავე იყო, ცხრა წლის უწინ დაუბრუნდა თავის პირველყოფელ მდგომარეობას, გატრეტლდა, გამხმედა და დღესაც ტყეში დაბრძინა:

„ნალარა ბრძოლას შეაბრძუნა მთებში,  
სისხლია დღინაში, ჰაერში, ბულიანში.  
ო, უზიზღო ქვეყანა, მე არ შევინდებო!  
მკვლევლებს სხედან ოპიის პაელონში!“

ვალტერ ჰაუნტელევერი გერმანელი მწერალია. მისი ლექსი საზოგადოებრივი ხასიათისაა და რევოლუციონური ბაიკების დამკვირვებელია.

ამ მოკლე წერილში გავკვირავ ვერ შევხებოთ ჟურნალის მდიდარ მასალას. ზოგიერთი ნაწარმოებიც დაუშვავრებელია. მათი განხილვა სხვა დროს. მაგრამ გვერდს ვერ აუხვევთ კ. მარჯანიშვილის: ქართული თეატრის საკითხებს, რადგანაც ის მეტად აქტუალურია. მარჯანიშვილის წერილი მოკლეა და უსათუოდ იმით აიხსნება მისი დეკლარატორული ხასიათი, ესე იგი პატივცემული ხელისუფანი აყენებს დებულებებს, ხოლო მის დამტკიცებაზე ნაკლებ ზრუნავს. ის, მაგალითად, სწერს: „გავმედე ვამტკიცო, რომ მიუხედავად ა. ცაგარლის დიდი ტალანტისა, მისი თეატრი, მისი სკოლა, ოდნავად არ არის ორიგინალური ქართული, არამედ ტიპური ნატეხი ოსტროვსკის ყოფა-ცხოვრების თეატრისა, მისი მიუპყნელობით, ვაჰრებით, გაკორტებული აზნაურებით“ და სხ. ამის შემდეგ მეგონა, რომ მარჯანიშვილი აიღებდა ცაგარლის და ოსტროვსკის რომელიმე ნათესაურ პიესებს და მათ ერთმანეთს დაუპირდაპირებდა. ეს მან არ ინება. მარჯანიშვილმა იცის, რომ მეცნიერებაში მიღებულია ცდის მეთოდი. დღეს მან ცაგარული და ოსტროვსკის მონათესავე პიესები, პირველი რუსულად, ხოლო მეორე ქართულად ყველაზე მინიშნა დამწერეც იტყვის: „Федотъ. Яъ ие тотъ; ეს ქართველი ვაჭარია, ის კი რუსიაო.“ ის ითქმის, რასაკვირველია, ტიპების შესახებ და, მაშასადამე, პიესის სულის ორიგინალობაზე. შემდეგ მარჯანიშვილი ეხება

ისტორიულ პიესებს. ეს მეტად საინტერესო თემაა. ის სწერს: „ეს არ არის თეატრი მითოსისა, ესე იგი სული აღებული მის მასიურ მესხიერებაში, არც თეატრი მისტერიისა, მისი მისწრაფებით შვიცნოს ცხოვრება და დამარცხოს სიკვდილი, არამედ უზარბაო იარაღის ჩხარუნია“. მაგრამ ჩხარუნის გარდა ეგებ ის სხეაც არის? ეს იყო მაშინდელ პირობებში თეატრი ეროვნული თავდაცვისა, ესე იგი სოციალური სული მის ისტორიულ მესხიერებაში, მე აქ ტენციას არ ვეხებ, ვამბობ შინაარსზე, აიღეთ თუნდაც პიესა „სამშობლო“. რაც უნდა „გადმოეწერათ ის სიტყვა-სიტყვით“ რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ის ათავაშებდა ქართულ გარემოებს, იწვევდა მასში ოპოზიციონერ ალტყინებს და ამ მხრივ ის ეროვნული იყო. ნუ თუ არ იცის მარჯანიშვილმა, რომ,

როგორც ამბობენ, ებრაულ ენაზე დაწერილი სახარება პალესტინაში უშედეგოდ დარჩა, ხოლო სხვაგან მისი სახელით ორმა ეკლესიამ ერთმანეთის ბილინი ჩაუღწიეს. ვინც ქართულ თეატრის ისტორიულ სახეს უარყოფს ის წარმოადგენს ანდრეევის ცნობად გემობს, რომელიც იტყვებოდა „კაცობრიობის გატიკვევებაზე“ და შემდეგ ახალი საზოგადოების შექმნაზე. ასე **კი სინამდვილეში არას დროს არ ხდება**. ყოველთვის და ყველგან, **აუცილებლად „le mort saisit le vix“** (კვლადი იტერს ცოცხალს), საქართველოში ეროვნული თეატრი რომ არ ყოფილიყო და მას თავისი ისტორია არ ჰქონდეს, ასე ადვილად მარჯანიშვილიც ვერ ამეტიკვევებდა ქართულ განახლებულ სცენას.

ბიკ. თევზაია.

## მონახტიალე მუსიკოსი

### ილიკო ქუჩხული.



უკვე სამი წელია რაც ჩვენი ნიჭიერი მონახტიალე მუსიკოსი ილიკო ქუჩხული გავმგავრეა უცხოეთში, პირველი რ თვე მან დაჰყო **ოსმალეთში**, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი გადვიდა **ბულგარეთში**, სადაც მალე გაიტენეს იგი და მოგაყრენ დიდის პატივისცემით.

ამ 2 1/2 წელში ჩვენმა ილიკომ თავის ცოლწვილით და ტკბილ-ხმოვან ვიოლინოთი მოიარა ითიქმის მივილი ბულგარეთი და გააცნო იქაურ ხალხს ქართული ხმები, ქართული მუსიკა.

როგორც ხალხმა, ისე განათლებულმა წრეებმა ღირსეულად დაფასეს იგი და მისცეს საშუალება თვითი სკოლაშეიქმნა კი შეეწყო ლექცია და საუბარი საქართველოს ისტორიის და მეტადრე ქართული მუსიკის შესახებ, რასაც დიდი სიამოვნებით ისმენდნენ ათასობით ქალი და კაცი, მოხუცი და მოსწავლე ახალგაზრდობა; უკვირდათ მისი ხალხში ვასვლა, **მონახტიალე მუსიკოსობა**, მის მიერ მუსიკის დაახლოება ხალხთან და მით ხალხის ზნეობის და ესთეტიკურ გრძობათა გაფასებება.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი ქება-დიდება დაიბეჭდა ილიკო ქუჩხულის შესახებ ბულგარულ ჟურნალ-გაზეთებში, მისი მუშაველი სურათი გამოაქრეს ვიტრინებში, შარშან ცალკე წიგნაკი კი გამოვიდა ბულგარულ ენაზე ილიკოს შესახებ, სადაც გამოთქმულია ბულგარეთის გამოჩენილ მწერალთა და მუსიკოსთა აზრი ჩვენი ქებულის მომხმის ნიქისა და უნარის შესახებ. აქ ვებეჭდეთ ერთ ამ წერილთაგანს.

### მუსიკის პროპაგანდა.

დიდი ხანია, რაც მხატვრულ მუსიკის მეგობრებს აინტერესებს საკითხი: თუ როგორ გაავრცელონ ფართო მასში მუსიკა საუეთეთსო კომპოზიტორებისა. ვითუ კარავდა, რომ დღევანდელ ჩვენი ცხოვრების პირობებში ქვემარტივი მუსიკა საკმაოდ ატკბობს და აწუგეშებს მსმენელთ, საკმაოდ მოიკიდა მან ფეხი ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ

ყველგან თანაბრად კი არა, მხოლოდ განსაკუთრებულ ერთ კლასს შორის, ერთ წრეში.

თამამად შეგიძლიათ შეგვეითხოთ, ყველა საკმაოდ არის მომზადებული ამ გავრ მუსიკისათვის, თუ არა? ამასთანავე ნუცქ იმას დაიფიქრებთ, რომ ხელოვნებათა შორის მხოლოდ მუსიკას შეუძლიან პირდაპირი და ძლიერი გავრება აღამიანის ფსიხიკაზე და, თუ პროგრამაც შეურჩიეთ, კლასიური მუსიკით არამც თუ დავიანტერესებთ განათლებულით, არამედ გაუნათლებულსაც კი მოხიბილავთ და გაავანციკერებთ, მაგრამ ვინ დაიწყებს ამას, ვინ მიუღდებს მუსიკის მინიარეს ცისფერ ოკეანესაგან?

ეს საკითხი ამ ათი წლის წინათ გადასჭრა ერთმა ახალგაზრდა ქართველმა მუსიკოსმა, რომლის სახელი დავარი **ილიკო ქუჩხულია**. ამან დაიწყო თავისი ვიოლინოთი ხეტიალი ჯერ მოსკოვ—პეტროგრადის ესოვებში და მერე ტფილისსა და საქართველოს სოფლებში. აქ აგრ(კულადა იგი ბეთხოვენის, მოკარტის, გრიგის და სხვების კლასიკურ მუსიკალურ შემოქმედებას. ეს არ მოიქცია ისე, როგორც მისი თანასწორი მუსიკოსები. არ შევიდა რომელიმე ფილარმონიულ ორკესტრში, თეატრსა და რესტორანებში. ეს აწინაო მუსიკალურ წმინდა ღვდით, ექსახურის იმათ, ვინც მუსიკას გოპტული და დაშორებულია, გასწია მათგან, ვინც მუსიკას გოპტებით აჯილოვებდა.

ილიკო ქუჩხულის ასეთ ცდებმა დასაწყისში სიცილ-ხარხარით და დაკინებით შეხედნენ, შემდეგ კი მიპარეს საჭირო ყურადღება და სიმპატიკა მუსიკის სერიოზულ პატივისცემისთვისაც კი. დასწერეს მასზე ა. ზარიანმა გახუთ „ბიოგრაფიკი ვედომოსტ“-ებში, „რუსკოე სლოვო“-ში ა. იაბლონოვსკიმ, „რუსკია ვედომოსტ“-ებში იული ენგელმა და ხს...

და მართლაც მისი ასეთი ცდები—მუსიკით ხალხის განვითარება და ამაღლება ჩვენგან უფრო დიდ ყურადღებას, გულსყურს და თანაგრძნობას იწვევს.

საქართველოდან წამოსული ილიკო ქუჩხული მიემგზავრება გერმანიაში. ჩვენმა დარჩენა რომოდენიმე ხანს. აქ განავრძობს თავის მუშაობას, აქ შეიძლება გამოცეს გავრძელება თავის ვახუთისა და გავეციმართოს ერთი სახალხო ლექცია მინც.

რომ მან ეს პირნათლად შესარულოს, საჭიროა მისთვის ჩვენი საზოგადოების და დაწესებულებების თანავრძნობა, ხელისშეწყობა. მე დარწმუნებული ვარ ჩვენში ამ დანახარებას მიიღებს ილიკო ქუჩხული.

პროფესორი დ. მიშიაკივი.

(ბოლგარული გაზ. „ზორია“, ბრო 820, 1922).

### ახალგაზრდა მსახიობ-მომღერალი



#### ვალერიან სარდიონის-ძე ჯამაჯავილი

აი, სამშობლო ოპერის ერთი სანუგეშო მომავალი თეატრისა ჩილია მალთავანი—ბარტონი, მდამოა მშრომელთა წრიდან გამოსული, რომელმაც თავისით ვაიკელია საბუ-სიკო ცოდნის გზა, სწავლა დაამთავრა (ჯაყელთან, დაიწყო პროფთან) ტუ. სახელმწიფო კონსერვატორიაში ვილ-ლითი 1923 წ. იმავე წელს მიწვეულ იქნა სახელმწიფო საოპერო თეატრში. პირველად გამოვიდა „ფაუსტ“-ში (ვალენტინი), შემდეგ—„ჯამაჯავში“ (ტონიო), „სოფლის პატიონსება“-ში (არფიო), „აიდა“-ში (ამონასო), „თქმ. შოთა რუსთველი“-ში (არაბი), „დაისში“ (კიაზო) და სხ., რითაც დიდი ყურადღება მიიქცია.

პროფესორთა სახელგანთქანი საბჭოს დადგენილებით სახ-ლგარი გაიყვანა (იტალიას) უნდა გავხანნილიყო უმაღლესი საბუთკო-სამსახიობო სწავლის დასამთავრებლად, მაგრამ ეს მაშინ ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდა მსახიობს გადაუწყვეტია ვახუშთის გა-სულს საზღვარგარედი წავიდეს სწავლის დასამთავრებ-ლად, რისთვისაც ამ მოკლე ხანში მეორე საგანგებო საღამოს გამართა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელოვნების მოყვარული ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება და ყოველის მხრივ დახმარებას აღმოუჩენს ამ ხელოვნების სამსახურით გატაცებულ ახალგაზრდას.

ი. არიელი.

#### „მკაჟი-მსახიობი მუღი“

##### (ნაწევრები დაეცინა—რომანდიან)

„თათბორი თემისა დაიწყო; ყველა მიიქცა ტაძარში ღმერთის მზის სადიდებლად, მსხვერპლის შესაწირავად. გაისმა მხა-მალაი ლაღლი ხალხისა, ვედრება ხელ-გაპყრობილი, შესთხოვედნ გამარჯვების მტრზე, ლოცვათ ყველა დაამზვიდა, სასოება და იმედი ჩაესახათ გულში.“

ჩვენს წინაპრებს,—დაიწყო გულში,—ბრძოლის არ ემი-ნოდათ, მათი საქმე იყო მამულის სიყვარული; მისთვის სიცილი მღერად და სასახლოდ მიიჩნდათ. მათ დავე-ტრევის სავალბოლო ჰიზნი, ბრძოლის დროს გამამხნვე-ბელი და სულის გამამაყებელი... ისამან, გამხდლო ჩემო, მომიტანე ჩემი ფანდური..

აბრეშუმის სიმები ააწყო, დაიწოქა მზის ქანდაკების წი-ნაზე, აილინდა მზეთუნახავი გული, აილინდა საოცრად, მომხიბვლელად, ვატაცებთ; მას ამოძრებთ ნელად ბანს ეუბნებოდენ:

„რაც მოგივიდეს, მოვიდეს!  
აბჯრითა დავიმოსებთ  
სამშობლოს სასიკაღდლოდ.  
მტერთათვის გასაოცებით!  
ერთ დღეს ვართ დაბადებულნი,  
ერთ დღესვე დაეიხიცებით!“

მამა-პაპურად დაეიცათ  
ქართვლთ ნაქები ხენია;  
მამულის მსხვერპლად დაღვარით  
ძარღვთაგან სისხლის ძღვენია!  
ჩვენი ამით სახელს მოვიხვეჭთ,  
წყაიფესა შეიღნი ჩვენია..

— შეიწირეთ, ღმერთო, სისხლნი ჩვენი მამულის სახ-სნელად! შეგალადა ხელხმა და ღმერთის მზის წინაშე პირ-ქვე დაეშო.

„თუ რამ გვაქვს, ჩვენად არ ითქმის  
თუ რამ გვეყვ, არ ღირს ყოვლადა!..  
ჩვენსაც წალოცუნი გეტყავენბენ,  
არც კი გვიტონბენ ტოლდას!..  
ვინც მტერსა ზურგი უჩვენის—  
მდღა უფროსის ცოლდას!..“

— ამინ! ამინ! იყო ხამა-მალა პასუხად.

„ ამ დღისთვის გველიდენ დედანი,  
მისთვის გვიმღერდნენ ხანასა,  
რომ დავემართო ვაქაცებრ  
ქირის დროს ღვიძლ ქვეყანასა!..  
ვატყვხეთ საერო ნაღმად  
მტერთ სისხლში ხელის ბანასა!..“

— გაუმარჯოს მაგისთანა ვაქაცესს!... ვაშა მათ, ვაშა!..

„დღეს ექირებმა მამულსა  
ქალ-კაცი, ქაბუე-ხნოვანი..  
დღეს მოვიქონით წინაპართ  
მტერთ სერა არაკვანი.  
ჩვენს ძარღვი იგივე სისხლი სდულს,  
იგივე გმირ-ქველოვანი  
და სჯობს უღებლად გდებასა,  
სიკვდილი სხელოვანი!..“

გულში უქანსკენლად მძოვრად ჩამოჰკრა სიმებს, მძღა-რად შემოსახა სიმღერა, ხმა ჩააწერიალა, ანგელოზებრივი კილო მისცა, მთაბარი გრგვინით გამოეხმაურა.

— ფიქრი არ არის, ფიქრი! ჩვენც უსახელოდ არ დაეიხიცებთ! იროს ერთი: ან სიკვდილი, ან სიციცხლე! ივრიალა თემმა.

— სიკვდილი მტრებს, ძმებო, სიკვდილი!... სიმე-რით შევეცემებთ ბრძოლისა..

და გული წამოდგა.

სოფრომ მგალობლიშვილი

### მ მ ხ ა ვ რ ი მ ა რ ა ლ ი

მე არც კი ვიცი ქვეყანაზე როდის მოვედი,  
 საუბუნეთა ბევრი კვალი მაჩნია შუბლზე;  
 მგზავრი მარადი—კაცთა მოღმის წინამორბედი,  
 წარსულის ბინდში მხოლოდ ერთ ლანდს—იაფეტს ვუმზერ.  
 ეამს, გახლებულს, გადმოყვევი, მოუსვენარი,  
 უკან დავტოვე მთათა ქშინვა, ბურუსები და...  
 უკუნეთშიაც გულით დამაქეს ფიქრი ზენარი:  
 მიყვარს აღმართი, გადმოხედვა ფირუშებიდან!  
 ბევრჯერ გადატყდა ჩემს კისერზე მძაფრი ვრიგალი  
 და მაინც ვმღერი,—მწუხარება გულზე არ მაზის:  
 ესწვავ ღამის თვალებს, აწთებული, როგორც ბენვალი,  
 მომაქეს სიმტკიცე ფოლადის და ცეცხლი არმაზის!

ვ. რუხაძე

### ნიკო გოცირიძე

(შარტი)

მ. ქიაურელისა

— ეჰ, მახლას... (ფიქრობს)  
 ქლექიანების ბაღნიცაში კრა-  
 ოტი გექნება, ვინც გინდა  
 გაგზავნეო, ენ გაგვზავნეო?  
 უნდა ვთხოვო, სივრცეთში  
 მომცენ ადგილი,—საიქათო  
 ბევრი კანდიდატი მყავს..



### პ ა რ ჯ ი შ ი



გრიგოლ ნაჭყებია (ურჯუხი)

ქალ. ფოთის „სპარტაკის“ ხელმძღვანელი, კარგი მოგარ-  
 ჯიშე. ფოთის დაუმთავრებელ სობორის (ტფილისისაზე  
 დაბალი არაა) კედელზე აციოდა და გუმბათის ჯვარზე  
 ყირამალა დაღდა (სურათზე პატარა ხაზივით ხსან).

### მ რ ი შ ვ ს პ რ მ ა ლ . . .

.. და ქარიშხალი, გათვრებული,  
 ქარ-ბუქსა გცემდათ ორივეს ერთად:  
 ის ღამე იყო, ღამე წყევლი,  
 გზა-ჯვარედინზე დამტოვეთ კენტად.  
 — „ღამის წყევლაში გაისრისები!“ —  
 მესმის ოთხკუთხედი სისინი ქარის...  
 ოჰ, მაშინებენ ცივი თვალები  
 და ირონია ნაცნობი მგზავრის!  
 შენ აღარ მშველი... ეს კიდევ ასე,—  
 მე კი ორივე მიზანჩნით ღმერთად,—  
 თუ გავიყინე საშიშარ გზაზე,  
 გამოვიტივრებთ თქვენც ჩემთან ერთად!..

იბერიელი ქალი

### სოლ. ახვლედიანის სიტყვა

სახალხო თეატრში აპრ. 6 ნიკო გოცირიძის ზეიმზე

#### მოქალაქენო!

ამ სეზონში მეორე ზეიმია სახალხო თეატრში!  
 ამ სეზონში მეორედ ვიკრიბებით ჩვენი მადლობის  
 გრძნობის გამოსამყებლად!

პირველი მადლობა ჩვენი მიმართული იყო იმ კოლექ-  
 ტივისადმი, რომელმაც ამ 30 წლის წინად მკვიდრი სა-  
 ძირკველი ჩაუყარა სახალხო თეატრის იდეას, რომლის  
 სიძლიერე შემდეგ ბევრმა იგრძნო და თვისი თავდადებით  
 ისე გაამაგრა იგი შრომითა შეგნებაში, რომ ევრაე-  
 თიარმა ქარიშხალმა, მიუხედავად ცდისა, მისი აღმოფხვრა  
 ვერ შესძლო... და დიდი ხანია ჩვენ მოწმენი ვართ, თუ რო-  
 გორის სიძლიერით და სიამაყით მოიმართება სახალხო  
 თეატრი სრულიად საქართველოს სივრცეზე და როგორის  
 აღტაცებით მიიღებოდა იგი ხალხის მიერ!

მეორედ ჩვენ შევიკრიბებით დღეს, რააა განსაკუთრე-  
 ბული მადლობა ვუძღვნათ და ვაღუწულოთ მისდამი სასი-  
 ყვარულად აძვრებული გული ჩვენს ნიკოს!

იმ ნიკოს, რომელიც იყო და არის საუკეთესო მედრო-  
 შე სახალხო თეატრის მშვენიერ დიქსა!  
 ვინ არ იცის, თუ რა როლი ითამაშა ჩვენში თეატრმა  
 საზოგადოდ და სახალხომ განსაკუთრებით!  
 ვინ არ იცის, თუ რა როლი ითამაშა ამ თეატრში ნიკომ!  
 ეს ორი მოვლენა ისეა შედუღებული, რომ მათი გან-  
 კეთა შეუძლებელია.

მაგრამ, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ ეს მისისა  
 ყველას ხედარი არ არის!

ივია ხედარი მხოლოდ და მხოლოდ მირონცხებულთა.  
 იმ პიროვნებათა, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან  
 ხალხის უანგარო სიყვარულით, მისთვის თავდადების უნა-  
 რით, დაუმრეტელს ენერგიით და დიდს ნიჭით.

ყველა ამით ჩვენი ნიკო მდიდრულად არის შემკული  
 და... აი, კიდევ ღირსეულად დაისადგურა მან ქართველ-  
 თა გულში, ვახდა მისი მესაიდუმლე!..

ვაშა ჩვენს ნიკოს!

ვაშა დიდ ნიკოს!

## ახალი მწერლობა

### ბრალდება: მოღლილი ჩემი მძვინვარება.

(ოსტრაციზმო:

პირველი რომელიც ჩემს თავს მიუსჯევ; ცვირა დილით).

შენც ურეცხარ ჩემს ცოდვაში:  
გოლაქტიონის ლექსებით დათენილი (პაოლოც ყურ-  
ში რომ გიწვივის მუდამ).

დედის ქალი (რომელიც მუდამ დედას ფიცქობს):  
ლაგება.

ჩვენ: სასაფლაოზე, საღამო.

სამჯერ გაუარეთ დაკეტილი აკლამას,

ამბობენ: ბერლინიდან ჩამოტანილი გვამი,

ისე წვეს ზნელ აკლამაში:

რომ ერთხელ არ უთქვამს საყვედური.

(ამბობენ: ის იყო თათრებთან ბრძოლაში,

როცა კარებს ეპარებოდა შიშველი ხანჯალი,

როცა ახალგაზრდა მოელოდა ხონთქრის საჭურისს.)

ჩვენ დაივანებთ დაქანებულ შანდალზე

თავადის საფლავს რომ აღვას:

სანთლის მოთენთილი ნაწიწი.

სიფითრე ეპარება დროულად.

კოდალაც ჯვარზე ეძებს სისხლიან მატლებს:

შვილების გასაძორომად.

ქვას აწერია: ჩუზა წელი დღე კვიმატი და უდარ-  
დელი.

(ალბად ყანწებით ილოწმებოდა მისი სხეული,

როცა სატანას უხაროდა: მკედრის მოლოდინში).

პანაშვიდი: შიში.

მღვდლის ანაფორა როგორც გარეულ ფარშევანგის  
კული.

მნათეს კვილი გაკვეთილ დავითნიდან,

და-საკმელის ბოლი: სვეტებად ამართული ფრესკის  
პირამდე:

არ არყევდა ამ გვამებს უფულოდ რომ წვანან?!  
ისინი უცქერიან კუბოს სახურავს:

მუდამ სიცილით.

პატარასი ვერ გაიციენებს შურის ღალატზე ისე:

როგორც შემომქმნა ქვეყნიდან ხარხარი.

ესლაც იტყვი რამეს?!..

სჯობია დიცს:

კულ მოჭრილი კატა:

რომელიც თავგებსაც ვერ დააფრთხობს.

ჩვენ კი: დაეტოვებთ საღამოს ფერხული მაშინ:

როცა მნათემ უკანასკნელად შემოსძახა:

აილილიაა!..

ესლა რაღას იტყვი?!..

როცა ვეღარ ვხედავთ გუმბათზე ამართულ ძვლების  
ბარაკადებს.

როცა აღარ გვემის დამბალ ძვლების უდროო ხა-  
ხური.

ესლა: საბრთლები... სახლები...

კოსტანტინოპოლის ღამაში მღაზიები.

და მეუზოვეთა ძახილზე: ნაძალადევათ ანთებულ  
ჭრალეები.

აქ არის საღამოს ბაზარიც:

მანეთით ყიდიან ფენმოტეხელ ინდაურს.

ყველამ გაიგო ჩეროვინცის აწვევა და:

და მირაზინებენ ტომრებზე ბონებს ბირუსიკენ.

დაღმართზე დავეშა ფიატი სუბუქად:

მუშტაღის ეშურება ორი არშიყი.

შენ იახხა: ქალაქი მსტქანია:

როგორც შემოდგომის დასაკლავი ბურეკი!!!!..

შენ მომდევე ფენდაფენ ქალაქში:

სადაც ყველა კედლებს სკამს: სიფილისი.

მე ვინაბარც:

ნოსტ დროსეული წარღვნა

რომ გადაერცხა ბინძური ქალაქი.

მეტეორობის წვიმა,

კუნდიან ქარს მაინც გამოვიელო აქეთ..

მაშინ აღარ იქნებოდა ბოღმა.

მაშინ შეიღებს დავზრდილი: გოლიათებად.

\*\*\*

ბუკი. ყვირილი. ხალხი უამრავი.

ეს დემონსტრაცია საით ეშურება?!..

იქნებ დამავიწყდა რომ:

ჩემ თავს ელის:

აიბინის ცივი ოსტრაციზმო.

ბიჭები დაარბინებენ რეკლამას:

გასამართლება!!!..

გასამართლება!!!..

(ეს ზომ გუშინვე ვიფიქრე გულში

როცა ავდექი: თვალბამღვრეული.

თვალზე დისიემული).

რომ მასამართლებენ როგორც საპნის ქურდს.

ყველა უზნები მაფურთხებენ.

ხალხი ავარდნილი მიყვიროს: სასჯელს,

არ იმეტებენ ჩემთვის სასაფლაოს.

თითქოს წავიკითხე ქვაფენილზე

წვეტიან მარგალიტთან ამართული

სისხლით სახული სახელი: კააუს!

ასეთი ლანდები დამდევენ ბლომად.

ოო ლაგება!!!.. დედის ქალი..

ნეტა შენ მაინც გეტყობა ჩემად

გაღმოგვდლო ცრემლი:

გახურებულ ქვების დასაღობად.

ესლა კი: გამამევეს როგორც ქურდი

ოო როგორც მტერი სიფილისიანების.

ოო ლაგება... ლაგება..

(ეს დარჩება ალბად მოგონებად.

ეს ეცოლინებთა შევიღებს).

კააუს პელი.

1924 წელი 31 მარტი.

●●●●●●●●●●

(ძანდაძება. გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 8)

**ელენ.** მოიგონეთ თქვენი ქანდაკება „ქარიშხალი“. ქარიშხალია გიბრს წარბი ვერ შეახრებინა, ძარღვიანი მკლავით მას მაგრა ჩაუქვიდა ხელი ერთადერთი მგობრისთვის და ამაყად, იმდენად გასცქერის ტალასს, რომელიც გრივალთ უახლოვდება.

**ლევ.** (აღურთოვანებულად) მეორე მკლავი როგორ ნახა-და აქვს შემოვლებული...

**ელენ.** თითქოს ეშინიან წელში არ გადასწყდესო...

**ლევ.** ტუჩები საკოცნელად უღიბის...

**ელენ.** აღმწოთებული თვალები კი სახედისწერა ტალასს ენ მუხუცია.

**ლევ.** იქ, სადაც ქარიშხალი ბოძოქრობდა, ეხლა სასაფლაოა. წინა დამეს, სანამ თქვენ მოხვიდოდით, სახელონოში წვედი. მივარიანი დამე იყო და სანთელი აღარ ავანთე. ჩემი სავარძლიანი ქანდაკებათა შუგ სილუეტებს გაცეკვროდი. პირქუშად და ბოროტად გამოიყურებოდნენ ეს ქანდაკებანი. არ ვიცი, სიზმარი იყო, თუ გალიუტინაცია—ეს კი ვიცი, როგორღაც უქნაურად ამოძრავდნენ. კომერსანტის ბიუსტის როგორღაც წწამიქიმა, თავისი სქელი კისერი დაიგვიღო და გველივით ჩემსკენ გადმოიკლაკა. დანაოჭებულნი სახე უფრო დაუნაოჭდა და თვალები დამკინავის ღიმილით. აუთამაშდა. ვამბმარი, ძარღვიანი ხელები კისერზე მომხვია და შიგ ყურში ხიხითი დამიწყო. რაღაც საშინებლად მოხდა. ხიხითებდა კომერსანტი, უფრო უარგულად ხიხითებდა ქართველი დიდკაცი. საათამც კი, კედელზე ჩამოკიდებულმა საათამ, სიცილი დაიწყო. ვჯავჯავთურთ ხმაურობასა და სიცილს ზედ ერთად სიცივე, საშინელი სიცივე, რომელმაც ტვინი გამოიყინა და ძარღვებში სისხლის მოძრაობა შემიჩერა. უცბათ რაღამაც დაიქუება. შეშინებული გამოვარდი: ქარს დაწვარა გაველო და იმისა ხმაურობამ გამოამარკვია. რა საშინელი დამე იყო!

**ელენ.** მე კი ვფიქრობ, ის დამე თქვენი ცხოვრების გზაჯვარედინი იყო, დამე, როდესაც შეურაცყოფილი პოეტი ანვარიშსა სთხოვდა ხელისასს, (ღიმილით) კომერსანტის ბიუსტსა შური იძია. ამ უჩვეულო სტუმრით თქვენი სახელონოს პატივით კი შეურაცყოფილია.—რა გასაცხრაველია, ბიუსტმა ცოტაოდენი უხერხულობა იგრძნოს და კისერი უქნაურად დაიბოროტოს! ალბათ სინდისმა თუ შეაწყუბა: ძოვავურ კომერსანტებსაცა ავეთ სინდისი.

**ლევ.** (ღიმილით) ამ შემთხვევაში მას მეტი სინდისი აღმოაჩნდა. ამ მოღალატე მკლავმა მაგრა დასცქედა დასაყრდენობზე. მაგრამ მაინც შეტორტმანდა. ვაღმობტომ რომ ვერ მოახერხა, თვით დასაყრდენობი შეანძრია და ატოვა. კიდევ კარგი, ქარმა დაწვარა შეშინაახუნა და გამოამარკვია, თორემ დამახშირდა ნამდვილად დამახშირბდა.

**ელენ.** მე მთავარი ექვემდებოდი, მუნებში სტიქიონის ცოტა გვიან რომ გამოვიჩინა თავისი ძალი და დაწვარა დროზედ არ შემოელო.

**ლევ.** მაშინ ხომ დიდს განსაცდელში ჩავვარდებოდი. კომერსანტი ენერგიული ადამიანია და შემებრძოლებოდა.

**ელენ.** და მოსაზრებით კიდევ: იგივე მარჯვენა, რომელმაც კომერსანტის უხეში გამოხატულება მოღალატურად დასაყრდენობზე დაამგრა, მარმარილოს დაამხებრე-

და, ნამეტრევებად აქცევდა. და განთავისუფლებულს სულს პოეტის სამღობღელო სამარდ აღარ მოეჩვენებოდა. თქვენი სახელოსნოც კვლავ გაიცოცხლებდა.

**ლევ.** (ცოტა უკან დაიწეეს და აღტაცებული ელენეს უცქერის) სიცილებს! სიცილებს, ალბათ, მაგნიური თვალეზი, მაგნიური გამომეტყველება უნდა ჰქონდეს. იგი გრძნობით აღსაესე უნდა იყოს და ამაყი; იგი მიმიზღველი უნდა იყოს და მიუქარებელი, წყნარი და მშფოთარე, სიყვარული და სიძულელი. (უცბათ გადაფიქრდება) ღმერთო ჩემო ახალი ქანდაკებო! სიცილებს უნდა დავარქვათ! უცედავი ქალწული... მის თვხია ქვეშ გაშლართული არსება კი—ადამიანი. ეი, მოქეიყენო! აქეთ გამოდით! დაიბნდა „სიცილებს“ უცედავი სიცილებს!

**არჩ.** (თავისი თანჯარად გადმოსძახებს) რა ბრძანეთ?

**ლევ.** „სიცილებს“, დაიბნდა-მეთქი, ახალი ქანდაკება!..

**არჩ.** (ოთახში შემოდის. ოდნავ წაიხარბაცებს) დედა-მიწა, თურმე მართლა ბრუნეს. ალბათ სიცილებს ბრუნეს. ნება მიბოძო, ქალბატონო ელენე, პაპროსი მოეწიო ან როგორც დასავლეთ საქართველოში ამბობენ, დავლიო. მე სიტყვა „დავლიო“ უფრო მიმწიწი, დიას, ღამაზია. „დავლიო“ ხომ ნებას მომცემთ. ქალბატონო ელენე?..

**ელენ.** მიირთვიო.

**არჩ.** დიდთ ვაძღვობოთ.

**ლევ.** (გამბიარულებული) დალიე, დალიე, ჩემო არჩილ, სანამ ჯერ არ დაღუღუხარ.

**არჩ.** (ღიჯივებული იცინის) შესანიშნავია. ლეგანი ოხუნჯავს, ბატონი ლეგანი ოხუნჯავს. ვაშა, გამბიარულებულ მასწამელს!

**ლევ.** (მივაფარასთან, ჰქის გადასწყდება და იღებს) გაუმარჯოს სიცილებს.

**არჩ.** გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..

**ელენ.** (ფანჯარასთან ლუარსაბს დინახავს) რა შორიდან გვიცქერით, ბატონო ლუარსაბ? ახლო მოდით (ხელს წავაღებს და ოთახში შემოიყვანს) ბატონებო! ნება მიბოძეთ, მოვიგონო ერთი თამაშობა, რომელიც ბატონს ლუარსაბს ძალიან უყვარს და რომლითაც იგი თავის პატარა მძისწულთან ერთობა ხოლმე.

**არჩ.** ვაზოვთ, ვაზოვთ.

(ზურაბი და ქეთივთ ოთახში შემოვლენ).

**ელენ.** (ლუარსაბს შუა სცენაზე გამოიყვანს) ხელცახოცი მომეცით.

**ლუარ.** ელენე! ქალბატონო ელენე! აბა, რა დროს ჩენი ეგენია.

**ელენ.** წინააღმდეგობის გაწევა არ გაბედოთ, ბატონო ლუარსაბ, თორემ ვაჯავრდები, (ხელცახოცი თვალებს აუხვევს, არჩილს ერთ სავარძელს უკან დამადებს, ზურაბს მეორე სავარძლის უკან, ქეთინოს სკამის უკან) ეხლა საითთაოდ „გუ-გუ“ს ვიტყვით და თქვენ დავიქორეთ. აბა, ვიწყობ. „გუ-გუ“. (გადასტება მეორე ადგილას. თვალებ-ახვეული ლუარსაბი ხელებს აცეცებს და ელენეს ეძებს).

**ზურ.** გუ-გუ!

**ქეთ.** გუ-გუ!

**არჩ.** გუ-გუ!

**ლუარ.** კედელს არ დამაჯახობთ,

**ილენ.** (მეორე მხარეს გადავა) გუ-გუ!

(საერთო ხმობრუნება და სიცილია)

**ნინო.** (შემოდის. აღელვებულია) ბატონო არჩილ! ერთ-ბაშათ სიწუმე ჩამოვადრება. ლუარსაბი ხელსახოცს მოიხსნის და დაღლილი იქვე სკამზე დაეშვება).

**არჩ.** (ნინოსთან მივა) რას მიზარძანებთ, ქალბატონო ნინო?

**ნინო.** ოთახში როგორღაც ბული დადგა და ევენახისკენ გაეისვინათ. (ლევანს) თქვენ განაგრძეთ თამაშობა, თუ გინდათ.

**ილენ.** (მეორე პაუზის შემდეგ ნინოს პირდაპირ თვალგემში შეხედავს) დრო აღარ არის; გარდა, ამისა, სითამაშოდ სხვა ადგილი შეგვიძლიან ავირჩიოთ.

**ნინო.** რატომ? ყველა თვისებურათ ერთობა და სიამოვნებას. (ლევანს) შენ პატარა ბავშვითი პროწილი მოგწონს, მე ხალში სვირნობა მასიამოვნებს, (ელენეს) დარჩით, სად მივშურებთ? ჩვენი წესლა, ფეიქრობ, დროს ტარებთ არ დაგიშლით. (ლევანს) სთხოვე დარჩეს.

**ილენ.** უსაკრავად. ჩემი დარჩენა აღარ შეიძლება. (ნინოს) ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი მოსვლით რაიმე უსიამოვნება მოგაყენებ. წაივითე, ლუარსაბი (ყველას ეშვებოდგება და გადის. ლუარსაბიც საერთო საღამოს აძღვეს და ელენეს მისდევს). (დიდი პაუზა.)

**ნინო.** (აღელვებული ოთახში დადის და ნერვიულად ხელკახოცს სქმუქნის) რა არის? ეს რა ამბავია?

**ლევ.** (სკამზე ზის და დაღვრემილი ნინოს უტყერის) შენ უნდა გკითხოხ ადამიანმა, რა ამბავია.

**ნინო.** ისეთი ახალგაზრდა და ისეთი თამამი!

**არჩ.** ო, უნდა მოგახსენოთ, ესლანდელი თაობა საშინლად წაითამამებულა.

**ნინო.** პირველად არის ჩემს ოჯახში და ისე იქცევა, თითქოს გაზრდილი იყოს. ასე მხოლოდ ისეთი ქალები იქცევიან, რომელთაც რაიმე უფლება აქვთ..

**ლევ.** (აღშფოთებული) ნინო!..

**ნინო.** დიახ, მხოლოდ ისეთი ქალები იქცევიან. სითამამე როდესაც ზრდილობის სახლებარს სცილდება, მაშინ ეს სითამამე კი არა, გარყვნილებაა.

**ლევ.** რაო?

**ნინო.** დიახ, დიახ! ტყუილთა შფოთავ. ჩემს სახლში უფლებს ვეღარ დინახავ.

**არჩ.** ძალიან სამწუხარო იქნება. შესანიშნავი ქალია! ცუგრუმელა ქალია. თვალები, ტურები. პატარა ტურები.

**ლევ.** (არჩილს, მოთმინებინად გამოსული) დაჩუქდი!

**ნინო.** ფოთხილად, ბატონო არჩილ! ხომ ხედავთ, ექვიანობს!

**ლევ.** მე გვინაა მეტის პატრეისკვით უნდა მოგპყროთ ადამიანს, რომელსაც პირველად ხედავთ და ისიც ჩემს სახლში.

**არჩ.** (თავიმწონეთ) ნება მიბოძეთ, ბატონო ლევან, ადამიანზე ჩემი საკუთარი შეხედულება ვიქონიო, დიახ, საკუთარი შეხედულება. თუ მასპინძლობა, რომელიც ამ რამოდენიმე კვირას გამიწივთ, ასეთ მიმე ვალდებულებას დამადებს, მაშინ უღრმეს მადლობას მოგიძღვნით და მასპინძლობის ოვალდობისაგან გაგათავისუფლებთ.

**ლევ.** ისეთი წარმოადგენა იქონივთ, რანაირიც გსურთ, ჩემს სახლში კი ჩემი სტუმრის შურაცხობის უფლებას არ მოაკცობთ. შეგიძლიანთ ყოველნაირი აზრი იქონიოთ ადა-

მიანის შესახებ, მაგრამ დაუმსახურებელი შეურაცყოფა კი არ მიაყენოთ ქალს, რომელსაც პირველად მხედავთ და რომელიც, სხვათა შორის, აღბათ, თქვენს აზრს არაფერად ავღნებს.

**ნინო.** ლევან, რა დაგემართა?

**არჩ.** (აღელვებული წამოდგება) მით უფრო ნალები საბუთი გაქვთ ვერც ძალიან ადუღდით და ასე ადვილთა შეურაცხპით ადამიანი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში თქვენს წინაშე სიკეთის მეტე არაფერი მიუძღვის. მაგრამ სჩანს ახალი მეგობრები..

**ლევ.** (მაგიდაზე ხელს დაპკრავს) აღარ გაბეღით!..

**არჩ.** (მეორე პაუზის შემდეგ) კეთილი. თუ როდისმე თქვენი გული სინანულმა მოიცვას, მომიგონეთ. დადგება დრო, ძველ მეგობრებსაც დააფასებთ. გისურვებთ დაგვიანებულობა არ იყოს; ესლა კი ნება მიბოძეთ გამოგემშვიდობათ.

**ნინო.** (ნაწყვეტ-ნაწყვეტად) მოითმინეთ, არჩილ. ჯერ ბევრი რამ გვეწინდა სათქმელი. რამდენიმე საქმეა დასამთავრებელი. იმეორე ამ უზარალო შელაპარაკებას ყურადღებას არ მიაქცევთ და ისევე ჩვენი ოჯახის მეგობრად დარჩებით.

**არჩ.** (ნინოს ხელზე აკოცებს) გთხოვთ მარად თქვენს მეგობრად მიგულვდეთ. რითაც კი შემოიღიან, გემსახურებთ. დანაპირებსაც შეგისრულებთ. დანარჩენი.. დანარჩენი მისი სახელი. ნება მიბოძეთ გამოგემშვიდობოთ და ყოველივე სიკეთე გისურვებთ. (ლევანს შორიდან თავს დაუპრავს და გადის). (პაუზა)


**ნინო.** ლევან, გონს მოდი!

**ლევ.** არასოდეს ისეთ კარგ გონზე არა ცყოფილვარ, როგორც დღესა. დღეს იშვა „სიციცხლე“, ახალი ძინდაკება! ტანში ჟრუნტული მივლის და მკვლავები მიწოდდება. მოუთმინლად ველი იმ დროს, როდესაც საშუალება მომეცემა ჩემბუდის სიამაყით ჩაქუჩი ავაგომავთ და სული შთავებური მკვდარ მარმარობის. ბიუსტები (იცივის) ბიუსტებს კი თანა გაუქუქყავ; რომ სიციცხლე არ გამიშვარონ. ნუ გეშინიან: ყომერსანტის ბიუსტს სისხოვრად შენ შეგინახავ.

**ნინო.** (აღლევებული) ლევან, შენ ხუმრობ! ამდენი ხნის იმედები. ამდენი ხნის ოცნება, მოვიდა და ერთბაშად იმედები დაშფუშდა. არასოდეს, გუშინდელ ბავშვს, ქუჩიდან შემოსულ ქალს..

**ლევ.** (აღლევებული, გადაფოთრებული ნინოს მივარდება) დახუმიდი! თერამეტი წელიწადია შენი მიმე ხელი ოლიონით მადებს კისერზე. ყოველდღიური ცხოვრების ბინძურ ჩარჩოვს მიმბძკეთ და სიციცხლე მიმიწამულე. შენი თვალები. ეგ მწავე თვალები სისხარბის დაუმრეტელი საბუდარია. თერამეტი წელიწადია ჩემთან ცხოვრობ და არც ერთხელ არ დაინახავს, რა მახარებს, რა მავსუხებს, რა ცეცხლი ტრიალებს ამ დატარაჯულ გულში! კიარა! განგებას ჩემთვის გარკვეული გზა დაუსახავს და ამ გზით ვივლი, თუნდაც იგი ჩემგან მსხვრპლს მოითხოვდეს. შენ კი გესლი და ნაღველი დაანთხებ ადამიანზე, რომელსაც არავითარი დანაშაული შენს წინაშე არ მიუძღვის. ეგ მწავე, ხარბი თვალები, ეს საშინელი ნიაოქი სიბოროტისა... (უცბათ თვალბება) ნინო! დმბერთი ჩემი! შენა სტირი!.. ნინო... ცრემლები... პირველათ ვხედავ შენს ცრემლებს.. (გაგბელება შემდეგ ნოემერში).

# მ ა თ ხ ზ ი ს ს ა ხ ლ ხ მ ს ა ხ ლ ი



## სასწავლებელი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საქიმო პუნკტი, კოპერატივი, თეატრი.

ჩენი ხალხი თავის სულიერ მოთხოვნილებებს დასაკმაყოფილებლად თანდათან ჰქმნის ახალ დაწესებულებათ. დაბა-სოფლებში ზოგან თუ ეკლესიები გადააკეთეს თეატრ-კლუბებად, ზოგან სახალხო სახლთა აშენებას შეუდგნენ,— ეს კი საწინდარია ჩვენის ქვეყნის სულიერ-გონებრივი აღორძინებისა და წინსვლულობისა.

ერთ ასეთ სახალხო სახლს აგებენ სოფ. მათხოჯში (ქუთ. მაზ.). როგორც ზემოთ მოხაზულობისა და მის წარწერი-

დანა სწანს,—ეს სახალხო სახლი სამწარწილოვანი, ორ-სართულიანი უზარმაზარი შენობაა (სიგრძით 57 საყ., სიგანით 53 საყ.), რამდენიმე განყოფილებით სხვა-და-სხვა დაწესებულებისათვის.

ვინ არის მისი ამგებ-მეთაური?— თვით სოფ. მათხოჯი თავის მოწინავე პირთა ჯგუფით, განსაკუთრებით-კი სააღმწერნელო საბჭოს თავმჯდომარე მასწავლებლები ვარლამ ძიძიუაური, ამ დიდი საქმის სულის ჩამდგმელი.

სოფ. მათხოჯი შეიდასიოდ კომლისგან შესდგება, ჰყავს ბევრი მოწინავე შვილი, მასწავლებელი თუ სხვა ასპარეზზე ცნობილი, უმეტესად სოფლიდან სხვადასხვა ქალაქში გასული.

ვ. ძიძიუაური ერთი ასეთი მოწინავე პირ-თავანია. მისი მესვეურობით სამიოდ წლის წინად მათხოჯის მოწინავე პირთა კრება შესდგა. კრებამ ამოარჩია სახალხო სახლის სააღმწერნელო საბჭო და საქმესაც შეუდგა: ხელისმომწერა შემოწირულებით შეკრება მცირედი თანხა, მოიწვია ინჟინერი გეგმა შეადგენინა... მაგრამ ამითი საქმე ვერ გაკეთდებოდა. საჭირო იყო დიდი თანხა.



ვ. ძიძიუაური.

და, აი, საბჭოს თავმჯდომარემ, ვ. ძიძიუაურმა თითქო საიდუმლო ფეცი დასლო: მოკვლევით ან სახალხო სახლს ავაგებო, — საჭირო თანხის შეკრებას შეუდგა: მთავრობის საგანგებო ნებართვით მოიარა საქართველოს ყველი დაბა-ქალაქი, სადაც მათხოჯიდან გასული გავლენიანი წარჩინებულის (ქონებით თუ სხვაფორიე) პირი ეგულუბოდა, საქმეში ჩაება, შეადგინა ქვესაბჭოები, დაიწყო შემოწირულების შეკრება და ყოველი აღებულ თანხას მთავარ სააღმწერნელო საბჭოს აწვდიდა სოფელში, რომელმაც საძირკველი გასჭრა და კედლების აგება დაიწყო. საბჭომ ამ მიზნით გამართა

საკუთარი საკრამიტე, საკიფი, საავტური და სხ. საქმეში ჩაება მთავრობაც—შინაგან საქმ. კომისრის (ი. გვეგუქორის), განათ. კომისრის (დ. კანდელიას) და სხ. სახით; ეს ორი წელიწადი შენობა აგება და მალე დაავიკინებდა.

კაცმა თუ მოინდობა — შეუძლებელი არაფერია. ეს დაგეგმტკიცა თუ სახლის აშენების ამბავმა.

მოკლე ხანში დაბეჭდავით მათხოჯის სახალხო სახლის სააღმწერნელო საბჭოს ყველა იმ წევრთა ვინაობას, რომელნიც უნაზაროდ მუშაობენ ამ სახუკვარი საქმის დასავიკინებლად, სხვათა სამაგალითოდ, თავის სასახელოდ და ჩვენის ქვეყნის სასიკეთოდ.

ი ო ს ბ ე ა რ ი მ ა თ ი ე ლ ი .



## ს ა ხ ლ ზ ი ფ ო უ კ ი ნ ო - ბ რ ა ე წ ვ ე ლ ო გ ბ

მახსოვს ერთი მოსკოველი კოროესპონდენტი სწერდა მოსკოვის გაზეთში: „ტუფილმა გავსწავლა ჩენ (მოსკოველებს) როგორ უნდა მუშაობა“.

და მართლაც, თუ გაითვალისწინებთ როგორ პირობებში უხდება სახ. კინო-მრეწველობას მუშაობა (მაგ. ნიკოთიერი უქონლობა, კარგად მოწყობილი კინო და სხვ.), მაშინ კოლოსალურ შედეგებს არის მიღწეული ამ მოკლე ხნის განმავლობაში გამოშვებული „მოძივარა“, „წითელი კინები“, „მამის მკვლელი“. გამაზღებელია და ამ დღეებში დაიდგება „არსენა ყაზილი“, მზადდება „დაკარგული საუნჯე“, „პირველი ნაბიჯი“, „ჩენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა.

აღსანიშნავია ის, რომ ჩვენს, კინო-წარმოებებს, რვეო-

ლიუციონურ სურათებთან ერთად, ეკრანზე გადააქეს ჩვენი მწერლების ნაწარმოებნი.

და ეს ასეც უნდა იყოს: ყოველი ერის კინო-ფილმი უპირველესად სარეკ უნდა იყოს თავის ხალხისა.

ამ ახლო მომავალში განზრახულია გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტებს და პარიზში მცხოვრებ ქართველ პოეტებს გადაეზავნოს „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“ და „მომღვარი“, რომლებსაც გერმანიისა და საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქების თეატრებში აჩვენებენ. საფრანგეთისა და გერმანიის მოქალაქენი არ გვიცნობენ,—ეს სურათები წარმოადგენას მაინც მისცემს ჩვენი ცხოვრების შესახებ. ამ შემთხვევაში კინოს თეატრზე მალე ვაყენებ; თეატრის შემწეობით არა გვაქვს საშუალება უცხოელებს ჩვენი თავი გავაცნოთ, —კინო კი ამას შესძლებს.

როგორ აღორძინდა ჩვენში კინო-მრეწველება, ვისი წყალობით ვითარდებდა და როგორია მისი ნაშუქავარი, —ამაზე შედგე.

.....

დემნა.

### სომახთო მწერალ-მსახიობნი



ა. ვრჰირი (1863 — 1924)

(ზაქარია ბერის როლში, — „ძველი ღმერთები“, ლ. შანთისა)

მარტის 5 ტფილისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ვარდაიცვალა სომეხთა დამსახურებული მოღვაწე მსახიობ-კომიკი და მწერალი რედკატორი არამ ვრჰირი. იგი დაბ. 1863 წ. კ.—პოლისში, პირველი სწავლა მიიღო სკუტარის „ისტორიულ“ სასწავლებელში 15 წლის თავის მშობლებთან ერთად ჩამოვიდა ტფილისს. ეს იყო 80-იან წლებში, ამ დროს დაიწყო სომხური თეატრის „ოქროს საუკუნე“ კ.—პოლისიდან ჩამოსულ ნიკეიერ მსახიობთა დასმა პ. ადამიანის მონაწილეობით. ახალგაზრდა ა. ვრჰირი ინდენად გაიტაცა თეატრმა, რომ 1883 წ. ვართანეს ფეფაზიანის რჩევით გამოვიდა სცენაზე (პირველად ტერ გრიგორიანის პიესა „მიღა“-ში. 60 წ. გრიგორი აღას როლში). ამ როლის მშვენიერად შესრულების გამო გ. ჩიმიშვიანმა შეტყვანა თავის წრეში. აქედან დაიწყო არამ

ვრჰირის სასცენო მოღვაწეობა, 1908 წ. ბაქოში დიდი ამბით გადაუხადეს XXV წ. იუბილე.

არამ ვრჰირის წარმოდგენები უმართავს რუსეთის, სპარსეთის, ბულგარეთის და კავკასიის დაბა-სოფლებში მცხოვრებ სომეხთა შორის.

ა. ვრჰირი უმათავრესად კომიკი იყო. მისი მთავარი როლები: ამისილომ აღა (პ. პარიონიანის „პატრიცეული გლეხებში“), ზაქარია ბერი (ლ. შანთის „ძველი ღმერთები“-ში) და სხვ. კოსტ.-პოლისის სომხურ ენაზე გადაკეთებულ „პეპო“-ში მშვენიერად ასრულებდა პეპოს როლს.

არტისტული მოღვაწეობის გარდა იგი იყო კალმის კაციც, ამ სიტყვის ქეშპარიტი ვაგებით: 4—5 წ. სცემდა ჯერ კვირულ, შემდეგ თვიურ ჟურ. „შეშარარ“-ს (მოკარნახე), რომელიც სალიტერატურო წერილების, სურათებისა და ლექსების გარდა, იტყუებოდა პიესებით; კ. პოლისის სომხურ ენაზე გადააკეთა გ. სუნდუკიანის პიესა „პეპო“. ამას გარდა გადაკეთებულ-გადათარგმნილი აქვს რამდენიმე ათეული პიესა.

ვრჰირი მეტად წყნარი ხასიათის იყო, ცოტათი კმაყოფილი, თავის საქმის მიხა.

დაკრძალეს მარტის 9 ტფილისის ხოჯივანქის სასაფლაოზე, სადაც სიტყვები წარმოსთქვენს ამხ. გ. ლევინიანმა, მ. დარზინიანმა, ს. აფშტროვმა (ქართულად.), ს. ავჩიანმა, ვ. სირენიანმა, გ. ავეტიანმა და სხვ.

ბ. აგჩიან

.....

### დაბ-სოფლის მოღვაწენი

ფაცია ვადაქორია, ძველი სცენისმოყვარე ქალი, ვარდაიცვალა ქ. ბათომში 7/III. იგი პირველად გამოვიდა ბათომის მუშურ უბანში 1908 წ. და ჭკარა ნიკეიერ მოხდენილი თამაშის გამო გადაყენილი იქნა შუაგულ ქალაქში. მთელ ამ ხნის განმავლობაში უკანასკნელ წლებამდე ის უსასყიდლოთ ემსახურებოდა ქართულ სცენას. ბოლო ხანებში მოიწვიეს ბათომის აკადემიურ დასში და სიკვდილამდე იქ მუშაობდა. ნიკეიერი აღმასრულებელი იყო სახასიათო როლებისა, განსაკუთრებით იმერულ ტიპების. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისა ბათომის სცენისათვის. ბათომის ქართველი საზოგადოების გულში ამოუშლელი იქნება საყვარელ ფაციას ხსენება.

გამ—ელი.



რუსთველის თეატრში ნიკო გოციოძის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე 30/III არა ჩვეულებრივის ზეიმით გადაიხადეს. დაესწრო აუთრგელი საზოგადოება, მიულოცეს საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სახელოვნო წარმომადგენლებმა, მასთან მრავალი საჩუქრებით და გვირგვინებით დაჯილდოვეს (მარტო ფულად უძღინდეს ირას ჩერვონცამდე, უწოდეს რესპუბლიკის სახალხო არტისტი

და ხელოვანის უმაღლესი ნიშნით შეუმკეს მკერდი). და-  
წერილობითი ანგარიში შემდეგ.

**სახალხო თეატრმა** კვირის (6/IV) არა ნაკლები ზეიმი  
გაუმართა თავის საყვარელ ნიკოს დიდძალი ხალხი დაეს-  
წერო, მიიღოცკდა და ვარუდუნებში გაიწიეს სასიბილოდ.  
აქ შესარულა აკოფა („ხან.“) და კრუტოუზღოვი („ტაი-  
ნი სოვ. სიხ.“). საზოგადოების სამადლობელოდ  
ნიკომ, სხვათა შორის, წარმოსთქვა: „მოკლაქენო!  
ნება მიბოძეთ მხოლოდ ორი სიტყვა მოვასხენო. ყოვე-  
ლი მოქალაქე მოვალეა თავის ერს ემსახუროს როგორც  
მის ძალონეს შეეფერება და მეც—გაგაყეთი ის, რაც  
შემეძლო... ეს ისე მჭირე რამეა, რომ ასეთი პატრიის-  
ცემა ზედმეტად მიმანია... ვმადლობთ იმ პიტივისცემის-  
თვის, რაც თქვენ მომიძღვრეთ“.

შემდეგ გაიმართა ნადიმი, რომელზედაც ას ქალ-კაცამ-  
დე დაესწრო. სხ. შორ, დაესწრენ აღმსკომის თავჯდო-  
მარე ლ. სუხიშვილი და აღმ. ვანათა, ვანუ. ვამეცე, ბუნჯიკა-  
შვილი. ნადიმი ხელმძღვანელობდა რუჯ. მ. ლედიჩაივა.  
ნადიმი იყო გულ-ხელვაშლილი, მხიარული, შინაარსიანი.

**სახალხო თეატრში** 31/III ნიკო გოცირიძის და დე-  
ვის თარხნიშვილების მონაწილეობით გაიმართა საღამო,  
თუმცა მარო თარხნიშვილს ავადმყოფობა ემწინადა, მაინც  
თავისი ბუნებრივ ქართველური ჰანგებით ძლიერი შთა-  
ბეჭედითაა მოაღწინა. არა ნაკლებ ყურადღების იქცეის  
მისი უმცროსი და თავისი მოღუღუნე ხმით. ნიკო გოცი-  
რიძემ, გ. თახიშვილმა, ვ. ნინიძემ და იოსებ რომანი-  
შვილმა ერთსულეობებით წარმოადგინეს გ. ერისთავის  
„დავა“—დან ერთი სცენა.

უ—ნო.

**მცირე თეატრში** მე-18-ე შრომის სკოლის მასწავლე-  
ბელთა ერთმა ჯგუფმა 16/III გამართა საბავშვო დილა.  
ეს იყო ჩვენი ნორჩი თაობის სიკოცხლის ამოცაშაშება,  
მცირეწლოვანი დიდ არტისტთა ხელოვნება. აქ განსახიფ-  
რეს ბუნება და მოზარდთა მრავალმხრივი შემოქმედება:  
ბავშვთა ჯუნდმა შესარულა „ინტერნაციონალი“, შემდეგ  
მოწაფეებმა (6—12 წლისებმა) წაიკითხეს სასუთარი ნა-  
წარმოებანი: მ. სენხიაშვილმა მოთხოზობა „ზამთრის საღა-  
მო“, მ. ხუტუაძე ლექსი, „ზამთრის ღამე“, ვ. ქურდოვანი-  
ძემ—„ზამთარი“, ჯ. არონიძემ—„ზამთრის დილა“, ვ.  
კანდლაკამ—სიმღერა „რა ღამაში ხარ ნამეის ხეცე!“ წარ-  
მოადგინეს ახალი პიესა „ნადეთა ზეიმი“, რომლის მომ-  
ქმენდი პირანი იყვნენ: ნადეიძე, კურდღლები, ჯუჯუბე,  
ფერიბე, ფიფქები, ყინვა და სხ. ყველა ამათ ანახიფრებ-  
ენი მოწაფენი, საგანგებოდ შეეკრნო ტანისამოს-გრიმე-  
ბით მოთხოლენი. ითიოულმა მათგანმა ვასილკარის ბუ-  
ნებრიობით განსახიფრა ნაკისრი როლი. დასასრულ  
გაიმართა აპოთეოზი: იყო მუსიკა, სიმღერა, ცეკვა-ბალეტი.  
დილას მესეურობდენ მასწ.-ქალენი მ. ვახუშტისელო,  
თამ. სულაშვილი და სხ.

იზბი.

**ფ-ტელის კინო-თეატრ „სოლი“—ში** 31/III თ. ნასი-  
ძის რეჟისორობით ადგილ. სცენისმოყვარეთა წრემ წარ-  
მოადგინა „ჯორ-ზაქარა“, დრამა 5 მოქ., ვ. დლოიძის  
მეგრე გადმოკეთებული მსკოვან ბელეტრისტის სოფ. მგა-  
ლობითმდლის რეგულიციონური შინაარსის იმეც სათაუ-  
რის მოთხრობიდან. კოხტა თეატრი სასუქ იყო მუშა  
ხალხით. წარმოდგენამ რიგინად ჩაიარა, მხოლოდ ტუბ-

ნიკური დაბრკოლებანი ხელს უშლიდენ. თამაშობდენ  
სულ ახალი, გამოუცდელი მუშა-მოსამსახურენი. უნდა  
ითქვას, რომ იმისთანა გლესის როლის შემსრულებელნი  
იშვითად გვინახავს. გამომისეს ავტორი ს. მგალობლი-  
შვილი და გადმოკეთებული გ. დლოიძე და დამსწრე.

დამსწრე.

**ჯანმრთელობის კომისარიატის** თაოსნობით (ნახარე-  
თიანის მეცადინეობით) ტფილისში (ევანგელიის ქ. № 12)  
მოწყობილია სანიტარული თეატრი, „კაშპოვა სცენა, მო-  
ზრდილი დარბაზი, აქ შემდგარი საგანგებო დისი ვ. ბა-  
ლანჩივაძისა და ს. წერეთლის ხელმძღვანელობით დრო-  
გამოშვებით მართავს წარმოდგენებს, უმოაგრესად ლო-  
თობის საწინააღმდეგო ქდავებისა და გადამდებ სნეუ-  
ლებათა წარმოშობა-შედგების დამახასიათებელს. ამ  
წინაზე აიღოდა დიმიტრი „შხამი“ (რუსულენოვანი ნაიარე-  
ზნი), ს. წერეთლის პიესები—„მეი ჯგირა“, „როსკიპა“  
(მოპასანის მოთხრობდან), „ვისაც არა აქვს ცოლვა-იმან  
ესროლეს ქვა“ (დადა მარტის 8), „თავისუფალი საქარ-  
თიელი“ და სხ. „შხამი“ იქნება რუსთა ცხოვრების ეგუ-  
ლებობდეს, მაგრამ ქართველთაგან შეუფერებელია. სა-  
ქერია რეპერტუარის შერჩევა და მხატვრულ მხარის გაუმ-  
ჯობესება. მხადდება „მალარია“, „სიფილისი“ და სხ.

იმე—ლი.

**ხელოვანთა სახალგაშო** 19/III სტუდენტ ქალმა ანიკო  
ლენინაშვილმა წაიკითხა სასურადებო მოხსენება არჩილ  
მეფის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ. ნაშრომი მეც-  
ნიერულია, დიდ დაკვირვება-კვლევის შედეგი და წარ-  
სული მწერლობის ბეჭეი უზენდუვანობის გამაყვევი. სა-  
ღამოს დაესწრო უმეტესად ახალგაზრდობა.

ი—ლი.



**ღ ე კ ე - ს ე უ ლ ი**

**ფოთში** კულტების და თეატრების რიცხი საკმაოა.  
მხოლოდ მსხაობა სცენისმოყვარენი ძლიერ მცირე და  
რაცაა—ისიც დღემდე გამოუცდებელი. თებერვლის ბოლო  
რიცხებში, პარტკომმა, აღმასკომის პრეზიდიუმმა და კორ.  
კავშირმა გამოყო კომისია, რომელმაც მოიწვია სცენის-  
მოყვარეთა კრება. კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ფოთ-  
ში პროლეტარული დასი. არჩულე იქნა გამგებანი შემდე-  
გი ახალგაზრდები: 1) ელ. ბაბილა (თავმჯდომარე), 2)  
ელ. პაიჭაძე (მდივანი), 3) ხუბოლაძე მხ. (მოლოკი), წყე-  
რები 4) სტ. ხარაზიშვილი და 5) ნუცა ნორაკიძე—ლოლო-  
ბერიძისა.

გამგებამ შეიმუშავა რეპერტუარი, რომელშიაც შედის  
პიესები, როგორც თანამედროვე რეველიუციონური ხანი-  
დან, ისე ძველი საყოფაცხოვრებო შინაარსისა. პიესების  
დადგმას უწევს შეუდგენ.

პირველთა დადგმულ იქნა „მსხვერპლი“ და „მზის საი-  
ღუმლო“. დასის ხელმძღვანელ-რეჟისორი ელ. მარ-  
ჯანიშვილი, შრომის უნარი, ენერგიით და ღრმა მშრო-  
მედებითი ნიჭით აღქურვლი პიროვნებაა. მისი უზნაო  
შრომის წყალობით ჩაყარა საფუძველი ფოთში საბავშო  
თეატრს.

დასის გამგებობას გადაეცა ეკლესიის ტანისამოს-ნიე-  
თები და ამ ტანისამოსებიდან იკრება რეპერტუარის მი-

ხეღვით შესაფერი ტანისამოსი. დასი სუსტობს ქალთა ძალუბით.

**ილ. შვანია**

**ქ. სიღნაღში ა. წ. თებერ.** 26 შესდგა საერთო კრება ადგ. დრამატული დასისა, მოწვეულ სტუმართა დასწრებით. კრების მოწვევის მიზანი თეატრის მდგომარეობის გათვალისწინება და მისი ნაყის აცილება იყო, რომელიც აფერხებდა თეატრის მუშაობას, დღის წესრიგი: 1) თეატრის ტექნიკურ მხარეთა გაუმჯობესება, 2) დამასხურებათ მოღვაწე სცენისმოყვარეთა იუბილეს გახადება, 3) გამგებობის შეფის არჩევა და სხ. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა სცენის დათვალეფერება და მისი შეკეთება. იმედია ამიერიდან მუშაობა უფრო ინაყოფიერებს.

**დამსწერე**

ანავა ქიზიყში ერთ თვალსაჩინო სოფელთაგანია. აქ არის ოთხ-კლასიანი შრომის სკოლა მოსამზადებელი განყოფილებებით, სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი. მოწაფეთა რიცხვი ათასმდეა. შენობის უკონოობის გამრ,

ბავშვებს თავისუფალი სავაჭრო სახლებში აქვთ გამართული კლასები. ადგილობრივი ინტელიგენცია ღიღს უნარს იჩენს კულტურულ საქმიანობაში არსებობს კულტურული წრე, რომელსაც მეტად მძიმე პირობებში თითქმის არარაისივან შექანა ღიღებელი თეატრი—სახალხო სახლი. იგი აშენდა ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის დახმარებით. ამიერიდან თეატრის მუშაკნი აღარ შეწყუხდებიან იმით, თუ რომელ ეზოში მოახერხონ წარმოდგენის დადგმა, აღარ ეშინიანთ, რომ მოატანს წვიმა შუა მოქმედების დროს და უნაყოფოთ ჩაუვლით შრომა. დღეს. ანავას შეუძლიან, იამაყოს იმისთვის, რომ მიეღს მხარაში პირველი მაგალითია ასეთი დარბაზის აგებისა. თეატრთან ერთად გაყვანილი იქნება სინათლე. ამისათვის სათანადო მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩვენი სოფელთა ცხოვრებაში ეს ახალი მოვლენაა, ესაა საძირკველი ჩვენი კულტურული წინსვლისა. ახლო მომავალში მოხდება სახეიმი გახსნა. სწარმოებს დიდი მზალება აღნიშნულ დღისათვის. ვუსურვოთ ამ დიდი საქმის შემაბარებრეთ წინსვლა და გამარჯვება!

**ქ. ანაველი**

**ხელშეწყობის ქრონიკა**

**თეატრი**

**ტფილისის სახელმწიფო თეატრები** ძველებურ პირობებში რჩებიან.

**გ. რიბაკიძის** ახალი პიესა „მალშტრემ“ აუარებელ ხალხს იზიადებს. დღეს მესამედ დაიდგმის რუსთაველის თეატრში.

**სახალხო თეატრში** ამ ახლო ხანში რეჟ. მ. ლემიჩიავა და ე. ბარველი ახალ პიესებს დასდგენენ.

**დრამატურგია**

**ახალი პიესები** დასწერეს: ა) ია ეკალაძემ „მუდრო ოჯახი“, ვოდ. 1 მოქ.; ბ) მიქელ დიანელმა „განთიადის მოლოდინში“ (პრემიით დაჯილდოვებულია), გ) იონა ვაჭიშვილი—დრამატული პოემა მსოფლიო რევოლუციიდან. ამ პიესაზე იწყება სცენარი, დ) ს. წერეთელმა—„ლენინის სიგელი“, „თავისუფალი საქართველო“ და „ქალთა უფლება“.

**მწერლობა**

**რაუფ გვეტაძის** ლექსების ტომი, 200 გვ. იბეჭდება. წიგნში შეტანილია მისი წინანდელი კრებულები: „დაბინდული ქარები“, „ლეღვის ფოთლებით“, „პერგამენტები“, „საფირონის ყაფიანით“, „საქართველო“, „ახაბები“, „ვირები“ და „რევოლუცია“.

**ბ. ეულის ლექსთა III წიგნი** იბეჭდება. მისივე ლექსები გამოცემა რუსულ ენაზე.

**მ. დიანელმა** დასწერა რევოლუციონური პოემა „ფიქრი წამებულო“.

**იუბილეები** ახლო მომავალში გაიმართება: 1) ივ. პ.

ფალიაშვილის 35 წ. სამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად სოაჲ. თეატრში აპრლის 18; ბ) მხკველი მწერლის სოფ. მგალონაშვილის 55 წ. სამწერლო მოღვაწეობისა

**სხვა და სხვა**

**პასუხისმგებელ მშრომელთა არტელმა** თვისი არსებობის 5 წ. შესრულების აღსანიშნავად აპრლის 5 სახალხო თეატრში გამართა სახეიმი სხლმა და ჩვიდის თავმჯდომარეობით, სახელმწ. უნიც—ში დანიშნა სამი სტიპენდია ლენინის სახელობისა, საღამოთი საამხანაგო ნაღიმი გამართა „ახ. კლუბში“.

**მისაბაძი მაგალითი**

**მოქალაქე ირ. ბილანიშვილმა** ქორწილის ხარჯების ნაკვალად გადამსწერივთ აღზარდოს ქართველ საპარსელთა რაფენიშე ვადა და ამ მიზნით სავანებუ ოთახიც გამოკეთა თავის ბინაზე, შესაფერი ხარჯით.

**რედაქციისგან:** ტექნიკურ დაბოკლებათა მიზეზით, ამ ნომრისთვის გამზადებული მასალა—თ ჯაფარიძის „დები“, კაიუს პელის ახალი თეატრი—„მალშტრემი“, ნა—ხის „ვახაჭუფლის მოლოდინში“ და სხ. ვერ დაიბეჭდა.

**ჩვენს უფრანღოში** მომავალ ნომრიდან დაიბეჭდება შ. იმედაშვილის წყვილების სერია ქართული თეატრის შესახებ ი) აქსურსია, ბ) ძვილი თეატრი, გ) ახალი თეატრი, დ) სახალხო თეატრა, ე) სახელმწიფო დრამ. სტუდია და მისი პრესკეტეცია, ვ) ჩვენი დრამატურგია; ზ) კორპორაცია „დურუჯი“ თ) პროფინციის თეატრი. დასკვნა.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

# „თეატრი და ცხოვრება“-ს ფონდი

ჟურნალის საგამომცემლო თანხის შესადგენად.

პ-ლო რედაქტორო! ამისთანავე შემომავს  
ორი ჩერვონეცი (20 მან.) და ჩემის მხრივ  
ვიწვევ მისე თალაკუბეს, რომელიც, იმედია, არ  
ჩამომჩნება და თავის მხრივ სხვასაც გამოიწვევს  
ჩვენი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს  
სადღერძელოდ.

ირაკლი ბილანიშვილი

პ-ლო რედაქტორო! ამისთანავე გაახლებთ  
ერთ ჩერვონეცს ჟურნალის გამომცემის თან-

ხის გასაძლიერებლად.

პატივისც. ვანო ანტონის-ძე თუშმალიშვილი  
ალექსი სოლომონის-ძე მათიაშვილი

პ-ლო რედაქტორო! თანხმად ვასილ კირვა-  
ლიძის გამოწვევისა („თ. და ც.“ №) შემომავს  
ერთი ოსმალური ლირა და თქვენს ჟურნალს  
ვუსურვებ გამარჯვებას

მარკოზ ლობჯანიძე

რედაქციამ მიიღო: 1, ექიმ ალ. ალექსიძისაგან—ორი ოსმ. ლირა. 2, სანდრო ჩოხელისაგან—ორი მან.

შემომწირველთ უდიდეს მადლობას ვუძღვნით.—

შენიშვნა: შემოწირულობა უნდა გამოიგზავნოს „თ. და ც.“ რედაქციაში იოსებ იმედაშვი-  
ლის სახელზე.

## აზიურ-კავკასიის რკინისგზათა სამხარტველო

აცხადებს, რომ სამეურნეო-მატერიალურ ნაწილის ბინასე (ტყელისი, ვაგ ზღისი  
ქ. № 1) 1924 წ. 15 აპრილს, დღის 12 საათსე გაიმართება სიტყვიერი

## ს ა ჯ ა რ ო ვ ა ზ რ ო ბ ა

ძველ საარქივო ქაღალდის 500—1,000 ფუთ რაოდენობით გასასყიდათ.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, წინასწარ უნდა შემო-  
იტანონ საწინდარი 250 მან. ჩერვ. ვინც საწინდარს არ შემოიტანს, არ იქნება დაშვებული  
ვაჭრობაზე. ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, პირმა, რომელსაც დარჩება ქაღალდი, იმავე  
დღეს უნდა შეიტანოს 500 ფუთი ქაღალდის სრული საფასური და დანარჩენი კი ქაღალდის  
მიღების მიხედვით. დანარჩენ მოვაჭრეებს საწინდარი დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ უკანვე.

ქაღალდის პირვანდელი ფასი განისაზღვრება 2 მან. 20 კაპ. ფული ფრანკო არკინის გზის  
საწყობი. ვაკილი ქაღალდი უნდა იქნეს წაღებული არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში.  
ქაღალდის ნახვა შეიძლება ვადასახადების ნაწილის არქივში (ჩერქეზიშვილის და მპი-  
ლიურინის ქუჩის კუთხე) ყოველ დღე, დღის 11—1 საათამდე.

### აუზვარო და გლენავრო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანისამოსები კარგი  
მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ სფეობრიკო მაღაზიაში

## „გ რ უ ზ ო დ ე უ დ ა“

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენს დაწესებულებე-  
ბისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

### ფ ა ბ რ ი კ ა

მელქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამქალაქო და სპეც-ტანთაგმელების მახინჯ დამზადებაზე.

**ურანლ „თეატრი ღ სსოპკეზა“-ში მიიღება**

დასაბეჭდად სასელმწიფო თუ კერძო სხვადასხვა დაწესებულებათა, საჯარო სასტა, ხანახაბათა და სხვათა

**განცხადებანი შეღავათიან ფასებში**

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე: „თეატრი და ცხოვრება“-ს კანტორის (ყოფ. ქართული თეატრის, ან „ახალი კლუბი“-ს შესავალში, სასახლის ქ. № 5), ფოსტით ამავე მისამართით **იხებ იმეღაშვილის** სახელზე. დაბა-სოფლებისა და ტფილისის გარეშე ქალაქების დაწესებულებებმა განცხადებასთან ერთად მისი ლირებულებაც უნდა გამოგზავნონ. ფასი მთელი გვერდის — 50 მ. ნახევარი — 30 მ., ტექსტის წინ გვ. 100 მ. განცხადებანი 1 მანეთიდან.

**სახელმწიფო თეატრი**

სუთმაბათს, აპრილის 18, 1924 წელს.

რუსეთის სახელმწ. თეატრების დამსახურებულ მსახიობის

**ი. პ. ფალიაშვილის**

35 წ. იუბილესათვის

აღერა

**აგესალომ და ეთერი**

კ. მარჯანიშვილის ახალი დადგმით. მიღეთეი იყიებება.

ლითონის ჩამოსმეული და მექანიკური სახელოსნო.

ამბა

**„კავკაზი“**

იღებს ყოველგვარ სამექანიკო, საარმატურო საქმებს (წყალსადენის კრანების, შპანვალებების, ყურანის სარწყვეების და სხ. შევეფებს).

სუმები სრულდება დანშნულ დროზე, პარნათლად და ხელმისაწვდენ ფასებში.

მისამართი: თბილისი, პლუხანავის ქ. № 59.

პატენსემი: თუმბალოშვილი.

0-1.

+

**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების**  
საეკრრო-სამრეწველო წარმოება.

**„ტენსო-ქიმიკოსი“**

საადფითაქო საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

მთავარი საწუობი და მმართველობა **ტფილისში**, ჰლეს. პროსპ. № 106 (ე. მისეილის პროსპ.), ტელეფ. 13-63.

განყოფილება **გათოფში**, ტროცკის ქ. № 14 (ე. მისეილის ქ.).

4-1.